ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## „პატრიარქს სიტყვას აწყვეტინებდნენ"

რა მოხდა უწმინდესის და დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრების შეხვედრაზე გვ.4





21 ივნისიდან

ილია ილფი

ევგენი პეტროვი

თორმეტი სკამი

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი




ხუთშაბათი, 22 ივნისი, 2017 №146 (7381) ფასი: 50 თეთრი

# „კალაძე შეიძლება „ოცნებიდან" წავიდეს"



კობახიძე გადადგება თუ არ გადადგება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან, ამაზე საქართველოს დემოკრატია და საქართველოს მომავალი ნამდვილად არ არის დამოკიდებული გვ.2

## ნანა დევდარიანი:

„მეოთხე არჩევნებს ატარებს „ოცნება" და იმედგაცრუების მეტი არაფერი მოუტანია"





## ბოკერიამ „ოცნებას" მომავალი უწინასწარმეტყველა „მომდევნო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში აღარ იქნებით" გვ.3

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მეფის შენახვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე პრეზიდენტის" გვ.5

ჩვენი სამეფო დინასტია არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პატივსაცემი მსოფლიოში არსებულ მონარქიებს შორის



ISSN 1987-9385

## ვახტანგ ხმალაძე: „გაუგებარია, რატომ ხდება კონსტიტუციის მიღების ასეთი ფორსირება" გვ.3

„ამომრჩეველი კვლავ მას უჭერს მხარს, ვინც ერთხელ და ორჯერ მოატყუა"





## სტამბოლში გვ.7

საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

## თბილისში, კოსტავასა და ბახტრიონზე, მოსახლეობის სიმჭიდროვე დასაშვებ ნორმაზე ორჯერ მაღალია გვ.6

# „კალაძე შეიძლება „ოცნებიდან“ წავიდეს“

ნონა ცაბაძე




## ნანა დევდარიანი: „მეოთხე არჩევნებს ატარებს „ოცნება“ და იმედგაცრუების მეტი არაფერი მოუტანია“

„ახალი თაობის“ კითხვებს გლობალური კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი პასუხობს.

***– ქალბატონო ნანა, საკონსტიტუციო ცვლილებები ერთ-ერთი მთავარი თემაა ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში. ხელისუფლებამ არ შეასრულა დანაპირები და არ გადავიდა პროპორციულ სისტემაზე. ისევ მაჟორიტარების იმედადაა „ოცნება“?***

– ხელისუფლება დაუკრეფავში გადავიდა. ძალიან მძიმე შეფასებები გვესმის. ძალიან გამაღიზიანებელია ხელისუფლების საქციელი. ზოგადად ეს ხომ პირველი შემთხვევა არ არის, ყველა ხელისუფლება იძლევა გარკვეულ დაპირებებს და შემდეგ აკეთებს იმავეს, რასაც წინა ხელისუფლება, უბრალოდ, ხანდახან ფორმებშია ხოლმე განსხვავება.

***– კერძოდ?***

– თუ სააკაშვილის შემთხვევაში ეს იყო კონსოლიდირებული ხელისუფლება, რომელიც მკვეთრად იმართებოდა ვერტიკალურად და გვახსოვს ჩვენ, როგორ ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება პარლამენტში, რიგებს შორის რომ დადიოდნენ კომისრები. ახლა ეს ასეთი თვალსაჩინო არ არის, მაგრამ პრაქტიკულად იგივეა. სიჯიუტე, თავისნათქვამობა, ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც მათ მოიფიქრეს. ოღონდ ამას კიდევ ემატება ერთი, რომ მანიპულირება ხდება იმით, რომ მათ რიგებში არის აზრთა სხვადასხვაობა, ამას ვითომ დემოკრატიას ეძახიან ხოლმე.

***– რას გულისხმობთ? მაჟორიტარებს რომ დააბრალეს საარჩევნო სისტემის არშეცვლა?***

– დიახ. მაჟორიტარები, რაც ჩვენ თავი გვახსოვს, პირველი მრავალპარტიული არჩევნებიდან დაწყებული ბოლომდე, ყოველთვის იყო ყველაზე მორჩილი ნაწილი უმრავლესობის. ამის თქმა, რომ იმათ არ უნდათ და იმიტომ არ შეცვალეს, დაუჯერებელია.

***– ანუ გაითამაშეს?***

– ასე ჩანს. თანაც მიმდინარეობს მანიპულირება ამომრჩევლებით, რომ აი, ხალხსაც უნდა თავისი მაჟორიტარი რაიონებში.

***– მაშინ რატომ იყო ასეთი დაპირება? პარლამენტის თავმჯდომარე იმის პირობასაც კი დებდა, რომ გადადგებოდა, თუკი არ გავიდოდა ეს საკითხი.***

– კობახიძე გადადგება თუ არ გადადგება პარლამენტის თავმჯდომარის პოსტიდან, ამაზე საქართველოს დემოკრატია და საქართველოს მომავალი ნამდვილად არ არის დამოკიდებული. ზოგადად კობახიძეს რაც შეეხება, ასეთი ლექსიკით პარლამენტის თავმჯდომარე არ უნდა ლაპარაკობდეს. არ უნდა უყენებდეს ულტიმატუმებს პრეზიდენტს, რომ ის თუ კარგად არ მოიქცევა, ახლავე შემოიღებენ პრეზიდენტის არჩევის წესს და ასე შემდეგ. ეს არ არის სწორი ფორმა.

***– პრეზიდენტის არჩევის წესიც არ იცვლება. გადაიწია 2023 წლამდეო. რატომ დაიხიეს უკან?***

– მათი ქმედება არ არის გააზრებული ერთიანი სტრატეგიის ნაწილი. როცა არის მძაფრი პროტესტის გრძნობა, ხელისუფლება მხოლოდ ამ შემთხვევაში რეაგირებს. აქაც სწორედ ასეთი ტაქტიკური სვლებია. ასე ქვეყანა არ იმართება. რაღაცა გეგმა ხომ უნდა გქონდეს ჩამოყალიბებული?! მოსინჯავენ ფონს, თუ არაფერი გამოვა, მერე უკან იხევენ.

***– ძალიან მიშვებულია პროცესები „ოცნებაში“. განზე გადგა ივანიშვილი?***

– აქ შიგნით არის დაჯგუფებები და ყოველთვის მიდის ბრძოლა გავლენებისთვის და ამ გავლენების გაფართოებისთვის. როგორც ტრადიციულად ხდებოდა, ივანიშვილი ჩამოშორებულია პროცესებს, მაგრამ არჩევნების წინ ხდება აქტიური. ახლოვდება ადგილობრივი არჩევნები და ეს პოლიტიკურ ტემპერატურას აუცილებლად აწევს.

***– რატომ აგვიანებს „ოცნება“ თბილისის მერობის კანდიდატის დასახელებას? აქტიური საუბარია კალაძის კანდიდატურაზე, თუმცა გამოდის ხმები, რომ ამ საკითხზე ვერ თანხმდებიან.***

– დაგვიანებული არ არის კანდიდატის დასახელება. არჩევნებამდე ჯერ კიდევ არის დრო. მეორეც, ამაზე საუბრები დიდი ხანია მიდის, რომ კალაძე ძალიან მონდომებულია, იყოს თბილისის მერი, მაგრამ არის ხელისშემშლელი ფაქტორებიც.

***– კერძოდ?***

– შიგნით ერთი ჯგუფის მოსაზრებაა, რომ კვლავაც ნარმანიას კანდიდატურა დააყენონ. კალაძე თავისი პოზიციების გასამყარებლად იბრძვის.

***– კვლავაც ნარმანიას კანდიდატურის წამოყენება რამდენად მოუტანს წარმატებას „ოცნებას“?***

– ამ შემთხვევაში ცოტა რთულია წარმატებაზე საუბარი. ყველა არჩევნებზე ყოველთვის ლაპარაკი იყო ძალიან სათუო კანდიდატებზე, მაგრამ „ოცნებას“ ყოველთვის გაჰქონდა თავისი, ბიძინა ივანიშვილის წყალობით. რამდენად იქნება ეს ახლაც, ამის თქმა ცოტა რთულია.



***– რატომ არ არის მხარდაჭერილი კალაძის კანდიდატურა?***

– არიან დაჯგუფებები, რომლებსაც არ აწყობთ კალაძის გაძლიერება. თბილისი არის სახელმწიფო სახელმწიფოში. მთელი თავისი რესურსით, თავისი საბიუჯეტო შესაძლებლობებით. თავკომბალა გახდა თბილისი, კარგა ხანია ეს ასეა. თბილისის მერი პრეზიდენტის დონის ფიგურა ხდება. მით უმეტეს, ახლა, როდესაც პრეზიდენტი ფაქტობრივად უუფლებოა, მასზე უფრო დიდ პოლიტიკურ წონას და დატვირთვას იძენს.

***– ადგილობრივ არჩევნებს საპრეზიდენტო მოსდევს. როგორ გამოიყურება ამ ორი არჩევნების წინ „ოცნება“?***

– საკმაოდ ფერმკრთალად გამოიყურება. დიდია უკმაყოფილება, გაღიზიანება, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა საზოგადოებაში. 2012 წლიდან მეოთხე არჩევნებს ატარებს „ოცნება“ და იმედგაცრუების მეტი არაფერი მოუტანია. მე მინდა გაგახსენოთ მოქალაქეთა კავშირის პერიოდი, როდესაც მთელი ძალაუფლება მის ხელში იყო თავმოყრილი, მაგრამ ადგილობრივი არჩევნები წააგო ოპოზიციასთან.

***– შესაძლოა, იგივე განმეორდეს?***

– არ არის გამორიცხული, რომ მოხდეს იგივე, თუ მეტისმეტად აკრძალულ ილეთებს არ მიმართა „ქართულმა ოცნებამ“. თუმცა ეს ის შემთხვევაა, რაც უფრო მეტად ხელის გადაგრეხით ჩაატარებენ არჩევნებს, მით უარესი მათთვის.

***– შესაძლოა „ოცნებამ“ ადგილობრივი არჩევნები წააგოს?***

– მეტსაც გეტყვით, არც ის არის გამორიცხული, რომ ოპოზიციამ საერთოდ შეატოვოს ოცნებას ეს არჩევნები და ბოიკოტი გამოაცხადოს. ეს იქნება ყველზე ცუდი სცენარი „ქართული ოცნებისთვის“. ასეთი ჯინიანობის და სიჯიუტის ფონზე, თუ ასეთი გადაწყვეტილება მიიღო ოპოზიციამ, ეს არის იმის დადასტურება და იმის ნათელი სახე, რომ „ქართული ოცნება“ ყველაფერში ძალადობს.

***– რამდენად ლეგიტიმურად ჩაითვლება ბოიკოტირებული არჩევნები?***

– ბოიკოტირებული არჩევნების ლეგიტიმაციის ხარისხი არის უკიდურესად დაბალი! ამ საკონსტიტუციო ცვლილებებით, ამ ხელის გადაგრეხვის პრინციპით თუ სხვა გამოსავალი არ დაუტოვეს ოპოზიციას, არ გამოვრიცხავ, რომ ეს სცენარი განხორციელდეს.

***– „ოცნება“ ემზადება, რომ მესამე ვადითაც დარჩეს ხელისუფლებაში. მიეცემა ამის საშუალება?***

– საქართველოს პრაქტიკაში ასეა, ყველა ხელისუფლება, რაგინდ ძლიერი იყოს და რაგინდ კონცენტრირებული ჰქონდეს ძალაუფლება, ორი არჩევნების შემდეგ სრულიად დისკრედიტირებულია ხოლმე. ან სხვა სცენარი უნდა მოხდეს, რაც არაერთხელ გვინახავს, პოლიტიკური ძალების გადაჯგუფება და მმართველი ძალიდან ახალი დაჯგუფებების გამოყოფა.

***– საუბარია ამ ვარიანტზეც, რომ ივანიშვილი „ოცნების“ წიაღში ახალ ძალას შექმნის, ამას გულისხმობთ?***

– დიახ. ესეც არახალია და ნანახი გვაქვს უკვე.

***– უშვებთ, რომ კალაძე იქნება ამ ახალი ძალის სათავეში?***

– ეს სრულიად დასაშვები ვარიანტია. კალაძეს აქვს პოლიტიკური ამბიციები. თუ მან ვერ მოიგო შიგნით, საკუთარ გუნდში, სრულიად არ არის გამორიცხული, გაემიჯნოს მათ და სწორედ ის იყოს „ოცნებიდან“ გამოყოფილი ძალის ლიდერი.

# ფიქრია ჩიხრაძე: „ამ უცნაურმა პროცესმა საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით, ბევრი პრობლემა გააჩინა“



საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკურმა მდივანმა ფიქრია ჩიხრაძემ პრეზიდენტის არჩევის წესზე უმრავლესობა გააკრიტიკა. ფიქრია ჩიხრაძის თქმით, საპარლამენტო განხილვებმა ბევრი პრობლემა გააჩინა და არც ერთიან ხედვას იძლევა.

– ამ უცნაურმა პროცესმა, აუხსნელმა სიჩქარემ, რომელიც საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით არის, მთელი პერიოდის განმავლობაში და განსაკუთრებით ახლა საპარლამენტო განხილვების ეტაპზე, ძალიან ბევრი პრობლემა გააჩინა. ეს კონსტიტუცია არ იძლევა ერთიან ხედვას, რა ტიპის სახელმწიფო სისტემას ვქმნით. არ იძლევა ერთიანი ხედვის შესაძლებლობას იმიტომ, რომ რაღაც 2020 წლისთვის შედის ძალაში, რაღაცა 2023 წლისათვის, ზოგი 2024 წლისთვის. რაღაცას ვადა უმცირდება, ემატება ერთჯერადად 3%-იანი ბარიერი, მერე მრავალჯერადად 5%-იანი. სრული აბსურდი მივიღეთ. კონკრეტულად ერთი მიმართულებით შეფასება გააკეთო ადამიანმა, ერთიან კონტექსტში ველარ ჯდება, ამიტომ არის დაუსრულებლად ჭრა-კერვა და ყოველდღიურად ვიგებთ ახალ ინიციატივებს, ახალ მოტივებს, შესწორებებს, გადასწორებებს და სულ უფრო გაჭირდა ერთიანი ხედვის დანახვა.

ამიტომ ვერიდებით ჩვენ, რომ კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით შევიდეთ პოლემიკაში იმიტომ, რომ საჭიროა ერთიანი სურათი დავინახოთ და კონსტიტუცია, საერთოდ, გრძელვადიან შეთანხმებას გულისხმობს, სახელმწიფოს მოწყობის, მმართველობის საკითხებზე, ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე და ჩვენ მოკლევადიან, მოკლე-მოკლე ნაბიჯებით სიარულს ვხედავთ ამ კონსტიტუციაში, რაც სრულიად გაუმართლებლად მიგვაჩნია, – განაცხადა ჩიხრაძემ.



# პარლამენტმა იუსტიციის საბჭოს 4 წევრი აირჩია

პარლამენტის კვოტით იუსტიციის საბჭოს წევრები გახდნენ: ირმა გელაშვილი (100 ხმით), ლევან გზირიშვილი (93 ხმით), ზაზა ხარებავა (84 ხმით), ნაზი ჯანეზაშვილი (108 ხმით).

არამოსამართლე წევრების არჩევის შემდეგ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში კიდევ 4 ვაკანტური პოსტი რჩება, მათ შაბათს სასამართლო კორპუსი მოსამართლეთა კონფერენციაზე შეარჩევს.

6 ივნისს, იურიდიულ საკითხთა კომიტეტში პარლამენტის მიერ იუსტიციის უმაღლეს საბჭოში ასარჩევ კანდიდატებს მოუსმინეს. კომიტეტმა პარლამენტში შესული 34 კანდიდატურიდან კომიტეტმა 1 კანდიდატის გარდა, ყველაზე დადებითი რეკომენდაციები გასცა.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვახტანგ ხმალაძე: „გაუგებარია, რატომ ხდება კონსტიტუციის მიღების ასეთი ფორსირება“

ნათია ხურცილავა

## „ამომრჩეველი კვლავ მას უჭერს მხარს, ვინც ერთხელ და ორჯერ მოატყუა“



**„შენების მოძრაობის“ წევრი, კონსტიტუციონალისტი ვახტანგ ხმალაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საკონსტიტუციო ცვლილებებზე საუბრობს.**

***– ბატონო ვახტანგ, ვენეციის კომისიის დასკვნის შემდეგ მმართველი პარტია მზად არის, საგაზაფხულო სესიაზე ორი მოსმენით მიიღოს კონსტიტუციის ახალი პროექტი. პროცესების დაჩქარება ხდება?***

– კონსტიტუციაში ყოველ სიტყვას, წინადადებას, წერტილსა თუ მძიმეს აქვს მნიშვნელობა. ვენეციის კომისიის ყველა შენიშვნის გათვალისწინება ძალიან მნიშვნელოვანია, ამიტომ სიჩქარე საქმეს მხოლოდ გააფუჭებს. დარჩენილ ერთ კვირაში ცვლილებების შეტანა და ორი მოსმენით მიღება არსებითად არასწორად მიმაჩნია. მით უფრო, რომ არანაირი აუცილებლობა არ დგას, რომ ორი მოსმენით იქნას მიღებული პროექტი. სავსებით შესაძლებელი იყო, განხილვა შემოდგომამდე მომხდარიყო და შემდეგ გაისად, წლის დასაწყისში, მიღებულიყო.

***– ფორსირებულად მიდის პროცესი? მმართველი პარტია მოსწრებაზეა, რომ ახალი კონსტიტუცია მიიღოს?***

– დიახ, ამიტომ ვამბობ, რომ ამის აუცილებლობა არ დგას. პროცესი დინჯად უნდა წარიმართოს და შეცდომების ალბათობა ბევრად შემცირდება. გაუგებარია, რატომ ხდება ასეთი ფორსირება.

***– ვენეციის კომისიამ საარჩევნო სისტემას დაუკავშირა პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევის საკითხი. რა კავშირშია ეს ორი საკითხი?***

– სავსებით სწორად და სამართლიანად დაუკავშირა. ყველაზე მწვავე საკითხი არის საარჩევნო სისტემის საკითხი. ვენეციის კომისიამ პარლამენტის არჩევის სისტემა პირდაპირ დაუკავშირა პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევის საკითხს და რატომ – თუ უზრუნველყოფილი არ იქნება მრავალპარტიული წარმომადგენლობა პარლამენტში, მაშინ საარჩევნო კოლეგიაში, რომელმაც პრეზიდენტი უნდა აირჩიოს, დომინანტი იქნება საპარლამენტო არჩევნებში პირველ ადგილზე გასული პარტია და მისი ნება-სურვილი იქნება დომინანტი ამ პროცესში, დაირღვევა პოლიტიკური ბალანსის სისტემა.

არა მხოლოდ პრეზიდენტის ირიბ არჩევნებს ეხება ეს საკითხი, არამედ სხვა ბევრ არჩევით თანამდებობას, რომელთაც პარლამენტი აირჩევს. მაგალითად, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს და არაერთ სხვა თანამდებობის პირს. ამიტომ არის საჭირო პარლამენტში მრავალპარტიული წარმომადგენლობა. ამის მისაღწევად კი ძალიან არსებითია, თუ როგორი იქნება პარლამენტის საარჩევნო სისტემა.

***– ვენეციის კომისიას რეკომენდაცია აქვს პრეზიდენტის ირიბი წესით არჩევის შემთხვევაში.***

– დიახ, და ეს არის კვალიფიციური უმრავლესობით იყოს არჩეული – ორი მესამედით ან სამი მეხუთედით.

***– ვენეციის კომისიას ყველაზე მეტი შენიშვნა საარჩევნო სისტემასთან ჰქონდა.***

– სრულიად ცალსახაა, რომ სამი შეზღუდვა: პირველი, საარჩევნო ბლოკების გაუქმება, მეორე, 5%-იანი საარჩევნო ზღურბლი და მესამე, მანდატების განაწილების ბონუსების სისტემა არ იძლევა მრავალპარტიული პარლამენტის შესაძლებლობას. ლამის 30-წლიანი გამოცდილება მაქვს არჩევნების და ეს ყველაფერი ძალიან კარგად ვიცი, ვიცი, პარტიები თუ საარჩევნო ბლოკები, ხმების რამდენ პროცენტს იღებენ. 5%-იანი ზღურბლის შემთხვევაში, როდესაც საარჩევნო ბლოკები იღებენ არჩევნებში მონაწილეობას, დაკარგული ხმების რაოდენობა საშუალოდ დაახლოებით 20%-ია. ეს საკმაოდ დიდი მაჩვენებელია.

როგორც კი ბლოკები გაუქმდება, ალბათობა იმისა, რომ პარლამენტში სამ პარტიაზე მეტი იყოს წარმოდგენილი, დაბალი იქნება. ამავდროულად დიდი იქნება დაკარგული ხმების რაოდენობა. ასევე, მანდატების განაწილებისას თუ ბონუსის ის სისტემა იმოქმედებს, რომელიც პროექტში იყო, ეს აშკარად უსამართლო შედეგს მოგვცემს, რაც აღნიშნა ვენეციის კომისიამ.

***– თუმცა, მმართველი პარტია მზად არის, საარჩევნო ბარიერი 3%-მდე დაწიოს და შემდეგ არჩევნებზე საარჩევნო სისტემაც შეცვალოს. ამ შემთხვევაში რამდენად იზრდება ალბათობა, რომ ბარიერს მეტი პარტია გადალახავს?***

– ამ შემთხვევაში ეს ალბათობა იზრდება, მაგრამ საპარლამენტო უმრავლესობის წინადადება იყო, რომ მაჟორიტარული სისტემა 2020 წლისთვის გაუქმებულიყო და საარჩევნო ზღურბლი 4%-მდე შემცირებულიყო. მე ამ იდეას ვემხრობოდი. დღეს კი სულ სხვა წინადადებით გამოდიან მმართველი პარტიის წევრები, ახლა საუბარია 2024 წელზე. უმრავლესობის დიდი ნაწილი მაშინ ამ იდეას უჭერდა მხარს და ისინი ამბობდნენ, რომ 2020 წლიდან შესულიყო ძალაში პროპორციულ სისტემაზე გადასვლა.

ნაციონალური მოძრაობა 2016 წელსვე ითხოვდა ამ ცვლილებას. დღეს გარანტირებულად შემიძლია გითხრათ, რომ მომდევნო პარლამენტშიც იქნება ასეთი მსჯელობა და მომდევნო პარლამენტიც უარს იტყვის პროპორციულ სისტემაზე.

***– ვერც ერთი ხელისუფლება მაჟორიტარებს ვერ ელევა. ამდენად, მოქმედ საარჩევნო სისტემას ვერ შევცვლით?***

– დიახ, სწორედ ასეა. სამწუხარო ის არის, რომ ამომრჩეველი არჩევნების დროს რატომღაც ივიწყებს ტყუილ დაპირებებს და კვლავ მხარს მას უჭერს, ვინც ერთხელ და ორჯერ მოატყუა.

საარჩევნო ზღურბლის 3%-მდე შემცირებას მინდა დავუბრუნდე. ხელისუფლება გვეუბნება, რომ ზღურბლს ერთჯერადად დაწევს. 2020 წლის არჩევნებზე ძველი საარჩევნო სისტემა დარჩება, მაგრამ საარჩევნო ზღურბლი შემცირდება. არსებული საარჩევნო სისტემის მთელი სიმახინჯე არის არა პროცენტულ ზღურბლში, არამედ იმ წესში, რომელსაც მაჟორიტარული სისტემა ჰქვია და რომელშიც განსაკუთრებულ როლს სახელისუფლო რესურსი ასრულებს, ვგულისხმობ მაჟორიტარულ არჩევნებში მაჟორიტარების გამარჯვებას. 3%-მდე ბარიერის შემცირება გავლენას მხოლოდ პროპორციულ ნაწილზე მოახდენს.

# „მომდევნო არჩევნების შემდეგ ხელისუფლებაში აღარ იქნებით“

შორენა მარსაგიშვილი

## ბოკერიამ „ოცნებას“ მომავალი უწინასწარმეტყველა

**დიდი წივილ-კივილის შემდეგ მმართველმა გუნდმა კონსტიტუციაში შესატანი ცვლილებები პარლამენტის სამსჯავროზე გამოიტანა. ცვლილებებზე სამსჯელოდ პარლამენტმა პრეზიდენტს რიგგარეშე სხდომის მოწვევა სთხოვა. გიორგი მარგველაშვილმა კანონმდებლებს ეს მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა.**

**ასეთ შემთხვევაში პარლამენტს უკვე თავად შეუძლია რიგგარეშე სხდომის მოწვევა. პარლამენტის თავმჯდომარემ ეს უფლება გამოიყენა.**

საკითხის პირველი მოსმენით განხილვას პატრიოტთა ალიანსი და ნაციონალები არ შეუერთდნენ. პროცესს ორივე პარტიამ ბოიკოტი გამოუცხადა. სამაგიეროდ, სხდომაზე მსუყედ იყო წარმოდგენილი „ევროპული საქართველო“.

მათი იერიშების მოგერიების პარალელურად, პარლამენტის თავმჯდომარემ გიორგი მარგველაშვილიც გაიხსენა. ირაკლი კობახიძეს აშკარად ახალი გატაცება აქვს – არც ერთი დღე პრეზიდენტის ძაგების გარეშე.

პარლამენტის ტრიბუნიდან სპიკერმა მარგველაშვილი იმის გამო დაგმო, რომ ის კომისიის მუშაობაში არ ჩაერთო. მისი თქმით, „ოცნება“ ერთი მუხლებზე არ დამდგარა, თორემ ყველანაირი ფორმით სთხოვდა პრეზიდენტს, ჩართულიყო საკონსტიტუციო კომისიის მუშაობაში.

– აქ ითქვა, რომ ჩვენ ვერ უზრუნველვყავით პრეზიდენტის ჩართულობა საკონსტიტიუციო კომისიის მუშაობაში. მეტი რა უნდა გაგვეკეთებინა, არ ვიცი. ათასგვარი ფორმით ვთხოვეთ პრეზიდენტს – ერთი მუხლებზე არ დავმდგარვართ, ყველანაირად ვთხოვეთ, რომ ჩართულიყო კომისიის მუშაობაში. არგუმენტი ვერანაირი ვერ მოვისმინეთ იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ არ ერთვებოდა 4 თვის განმავლობაში კომისიის მუშაობაში. ეს იყო ჩვენი პოზიცია და ამას დაუპირისპირდა პრეზიდენტის აბსოლუტურად არაპრაგმატული და დესტრუქციული პოზიცია, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

კობახიძის განცხადებებს მალევე გამოეხმაურა პრეზიდენტის ადმინისტრაცია. ადმინისტრაციის უფროსის გიორგი აბაშიშვილის თქმით, კობახიძის შეურაცხმყოფელ განცხადებებზე ისინი აღარც კი რეაგირებენ. მათ მხოლოდ ის აწუხებთ, რომ მიზანმიმართულად მიდის პრეზიდენტის ინსტიტუტის ნგრევა.

– ვიცით, რომ პარლამენტის თავმჯდომარის მხრიდან გაკეთებული შეურაცხმყოფელი განცხადებები წესით უნდა იწვევდეს გაღიზიანებას, მაგრამ ამ განცხადებებზე უბრალოდ ვერ ვღიზიანდებით. არც პრეზიდენტს და არც პრეზიდენტის გუნდის წევრებს მსგავსი ტიპის განცხადებები არასოდეს არ ჩაუთვლია გაღიზიანებად. თუმცა, რეალობა არის შემდეგი, რომ მსგავსი ტიპის ე.წ. სკანდალური შეურაცხყოფებიც კი ვერ გადაფარავს იმ პოლიტიკურ რეალობას, რომელშიც ვიმყოფებით, როდესაც ამ პროცესით რეალურად ხდება უმნიშვნელოვანესი სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა და სერიოზული ზიანი ადგება ქვეყნის იმიჯს, – აღნიშნა აბაშიშვილმა.

ირაკლი კობახიძე, ეტყობა, მარტო მარგველაშვილის ძაგებით არ არის დაკავებული. მისი თქმით, ის პრეზიდენტის და ოპოზიციის წარმომადგენლებს ტყუილებსაც უთვლის.

თავის გამოსვლაში მან 20 ივნისის გადაცემა „არჩევანი“ გააანალიზა. ამ გადაცემაში ისიც ღებულობდა მონაწილეობას.

ამ გადაცემაში მის შესაძლო გადადგომაზეც იყო საუბარი. რამდენიმე კვირის წინ სპიკერმა განაცხადა, რომ თუ მაჟორიტარული სისტემა დარჩებოდა, ის თანამდებობას დატოვებდა. ახლა ამბობს, რომ ეს განცხადება ნახევრად ხუმრობით გააკეთა.

გადაცემის ანალიზისას კობახიძემ „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერ ოთარ კახიძეს პერსონალურად მიმართა, რომელიც, სპიკერის თქმით, მწვავე, მაგრამ ჩარჩოში ჩამჯდარი იყო.

– რუსთავი 2-ზე საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებით დისკუსია გაიმართა. პრეზიდენტის ადმინისტრაციის ერთ-ერთი მოხელე და ასევე ხუთი პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები გამოდიოდნენ. ბატონ ოთარ კახიძის გამოსვლა მწვავე ოპონირების რეჟიმში მიმდინარეობდა და ჩარჩოებში იყო, რაც პოლიტიკური ეთიკისთვის დამახასიათებელი უნდა იყოს.

ამ დისკუსიის დროს, რამდენიმე ათეული მარტო ტყუილი დავთვალე. საუბარია იმ ადამიანებზე, ვინც თქვენს გვერდით ისხდნენ. საუბარია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის მოხელეზე, რომელიც პრეზიდენტის სახელით საუბრობდა. ისეთ პირობებში, როცა პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ელემენტარულ ტყუილებს ამბობენ და პრეზიდენტი თავისი მოხელის პირით, ასეთი ფორმით საუბრობს, კონსტიტუციის გარშემო კონსენსუსის მიღწევა ძალიან რთულია. ეს სამწუხარო რეალობაა, რაც ჩამოყალიბებულია ჩვენს პოლიტიკურ სპექტრში, – მიმართა კობახიძემ ოთარ კახიძეს.

რამდენიმე დღის წინ „ოცნებამ“ ერს ამცნო, რომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მაჟორიტარული სისტემა არ გაუქმდებოდა. არადა კონსტიტუციის სახალხოდ განხილვისას სულ ამაზე მიდიოდა ღაღადი.



აღსანიშნავია, რომ საერთო სახალხო განხილვის პროცესში მაჟორიტარული სისტემის მომხრეები თავის პოზიციებს არ აფიქსირებდნენ. ისინი ფაქტიურად ბოლო მომენტში გამოხტნენ და თავისი გაიტანეს.

„ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბოკერიას აინტერესებს, რატომ დუმდა ეს ხალხი. მას იმის გაგებაც მოუნდა, როდის შეიტყო პარლამენტის სპიკერმა ამის შესახებ.

– ამ ხალხმა, რომელიც წინააღმდეგი იყო პროპორციულ სისტემაზე გადასვლის, თქვენი მოთხოვნისა და ფუნდამენტური დაპირებისა, როდის თქვეს ეს, როდის გაიგეთ, რომ წინააღმდეგები არიან?! ვინ უკრძალავდა მათ ხმამაღლა ამ პოზიციის დაფიქსირებას, რატომ არ მონაწილეობდნენ საერთო-სახალხო განხილვაში? რატომ დაუმალეთ საზოგადოებას, რომ ასეთი ჯგუფი იყო, თუ ეშინოდათ ხმის ამოღება? – იკითხა ბოკერიამ.

მან ირაკლი კობახიძეს იმის გამოც უსაყვედურა, რომ კონსენსუსის მიღწევა ვერ შეძლო. გაახსენა დაპირებაც, სადაც ამბობდა, რომ კონსტიტუცია მხოლოდ ერთმა პარტიამ არ უნდა მიიღოს.

– თქვენ ხომ იძახდით, რომ არ შეიძლება ერთმა პოლიტიკურმა ძალამ მიიღოს კონსტიტუცია, ეს ისეთი რამეა, რომ მთელი წლები უნდა დარჩესო. თუ არც ერთი პარტია არ გიჭერს მხარს, არც ერთი რაიმე რეპუტაციის მქონე არასამთავრობო ორგანიზაცია, რა რჩება გარდა იმისა, რომ საზოგადოებას ჰკითხო?!

აბა რა გამოდის, თქვენ იძახით, კონსენსუსი ვეძიეთ, ვერ ვიპოვეთ და ფეხებზე დავიკიდეთ ყველა დანარჩენი ჩვენ გარდა და მაჟორიტარების ჯგუფის გარდა, რომელსაც ანგარიში გავუწიეთ. აა, ხოო კიდევ, „პატრიოტები“ და კომუნისტები, რომელსაც ასევე გადაუგდეთ რაღაც კვერცხები. ყველას რაღაც მიეცით, საზოგადოების გარდა, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

მან სხდომაზე წინასწარმეტყველური ნიჭიც გამოავლინა და „ოცნებას“ უსიამოვნო ამბავი ამცნო.

– მომდევნო არჩევნების შემდეგ რომ ხელისუფლებაში აღარ იქნებით, ეს მე ნამდვილად ვიცი, – მიაწყევლა ბოკერიამ „ოცნება“.

მისმა თანაპარტიელმა ირმა ნადირაშვილმა კი იმის გარკვევა მოისურვა, რატომ არ გაითვალისწინა უმრავლესობამ სპიკერის პოზიცია მაჟორიტარებთან დაკავშირებით.

– თქვენ იყავით მომხრე, რომ საარჩევნო სისტემა შეცვლილიყო 2020 წლისთვის. როდესაც ეს ვერ მოხერხდა, თქვენ ამას მიიჩნევთ თუ არა თქვენს პირად მარცხად – რატომ არ გაგიწიეს ანგარიში თქვენმა კოლეგებმა? – ჩააცივდა ნადირაშვილი სპიკერს.

კობახიძე თავს დამარცხებულად არ მიიჩნევს და ერს გუნდის გამარჯვების შესახებ ამცნო.

– არის თუ არა ჩემი პირადი მარცხი 2020 წლიდან პროპორციულ სისტემაზე ვერ გადასვლა? შემიძლია გითხრათ, რომ ნამდვილად არა მარტო ჩემი, არამედ მთლიანად გუნდის გამარჯვება არის ის, რომ შევჯერდით კონსენსუსზე და მივაღწიეთ შეთანხმებას იმასთან დაკავშირებით, რომ ერთხელ და სამუდამოდ გადავდივართ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. მე მერჩივნა, რომ 2020 წლიდან მომხდარიყო ეს ყველაფერი, ეს არის ჩემი პირადი, როგორც ერთი დეპუტატის მოსაზრება, მაგრამ, საბოლოო ჯამში, ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ეს გადაწყვეტილება, რომ საბოლოოდ აუცილებლად გადავდივართ პროპორციულ არჩევნებზე, – აღნიშნა გამარჯვებულმა კობახიძემ.

# „პატრიარქს სიტყვას აწყვეტინებდნენ“

შორენა მარსაგიშვილი







## რა მოხდა უწმინდესის და დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრების შეხვედრაზე

**რამდენიმე უშედეგო მცდელობის შემდეგ დეკანოზ გიორგი მამალაძის ოჯახის წევრები საქართველოს პატრიარქს შეხვდნენ. შეხვედრა გუშინ, 21 ივნისს, გაიმართა. პირობის თანახმად, ოჯახი შეხვედრაზე მამა გიორგის ადვოკატების გარეშე მივიდა. პატრიარქთან გამართულ შეხვედრას მამა დავით ჭინჭარაული, მეუფე თეოდორე, მეუფე იაკობი, მეუფე ანდრია და მამა კახაბერ გოგოტიშვილი ესწრებოდნენ.**

შეხვედრის დასრულების შემდეგ მამა გიორგის ძმამ, თორნიკე მამალაძემ, მედიის კითხვებსაც უპასუხა.

მისი განცხადებით, მათი შეხვედრა პატრიარქთან იწერებოდა. საპატრიარქოს წარმომადგენლებმა ოჯახს განუცხადეს, რომ ჩაწერას თავის დაზღვევის მიზნით აწარმოებდნენ. კერძოდ, სასულიერო პირები შიშობდნენ, ოჯახს შეხვედრასთან დაკავშირებით არასწორი ინფორმაცია არ გაევრცელებინა.

თორნიკე მამალაძის თქმით, ჩაწერა აუცილებელი არ იყო, რადგან ოჯახს ტყუილის თქმა არაფერში სჭირდება.

დაკავებული დეკანოზის ოჯახი ამბობს, რომ უწმინდესმა მათ ბოლომდე მოუსმინა. ამის მიუხედავად, მათ პატრიარქისთვის ყველაფრის თქმა ვერ შეძლეს. თორნიკე მამალაძე ამბობს, რომ შეხვედრაზე დამსწრეები პატრიარქს სიტყვას აწყვეტინებდნენ.

– უწმინდესმა ბოლომდე მოგვისმინა, მიუხედავად იმისა, რომ მამა დავით ჭინჭარაული ცდილობდა, ჩვენი საუბარი შეეწყვიტა და ჩაეკვეხებინა სიტყვები. ცდილობდა გაეწყვიტა ჩვენი საუბარი პატრიარქთან, რაზეც მე კატეგორიულად ვეუბნებოდი, რომ მე პატრიარქთან საუბარი მსურდა პირადად.

ყოველი ჩემი ახალი წამოწყებული თემა, ცდილობდნენ, რომ შეეწყვიტათ. ცდილობდა მამა დავით ჭინჭარაული. მოდიოდა ჩემთან ზურგს უკან და ხელსაც მადებდა, რატომღაც მიტევდა და მეუბნებოდა, რომ ყველაფერი კარგად იქნებაო. ჩვენი საუბარი ყველაფერი უწმინდესთან იწერებოდა. გამომდინარე იქიდან, რომ გვეუბნებოდნენ, რომ გახვალთ და შემდეგ ტყუილს იტყვითო. ჩვენ ტყუილის თქმა არ გვჭირდება, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში თორნიკე მამალაძემ.

დეკანოზის ოჯახი დარწმუნებულია რომ პატრიარქს მამა გიორგის უდანაშაულობაში ეჭვი არ ეპარება.

ციანიდის სკანდალზე უწმინდესმა ოჯახს ასეთი რამე უთხრა:

– პატრიარქმა როგორც გერმანიიდან ჩამობრძანების შემდეგ, დააფიქსირა ისევ ის პოზიცია და თქვა, რომ მე მამა გიორგისგან არასდროს გამიგია ცუდიო და ეს ყველაფერი არის საქართველოს დისკრედიტაციის მცდელობა. მამა გიორგის დაჭერა მიმართულია საქართველოს დისკრედიტაციისაკენ.

დეკანოზ გიორგი მამალაძეს რამდენიმე თვეა, რაც ზიარების უფლება შეჩერებული აქვს. მისი ძმის განცხადებით, ამის შესახებ ეკლესიის წინამძღოლმა არაფერი იცის. ოჯახი შეეცადა, მისთვის ეს ინფორმაცია მიეწოდებინა, მაგრამ არ ათქმევინეს.

– საქართველოს პატრიარქს არ ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მამა გიორგი მამალაძე ზიარებას უკვე ოთხი თვეა უშედეგოდ ითხოვს.

ჩვენ ვცადეთ ამ ინფორმაციის ილია II-თვის მიწოდება, თუმცა ჩვენ სიტყვა მამა დავით ჭინჭარაულმა შეგვაწყვეტინა. ჭინჭარაული პატრიარქისთვის ინფორმაციის დამალვას ცდილობდა.

დავით ჭინჭარაულმა თქვა, რომ ამ დღეებში შევალთ და ვაზირებთო, რათა არ გვეთქვა, რომ მამა გიორგი ოთხი თვეა ითხოვს ზიარებას, – ამბობს დეკანოზის ძმა.

ამ შეხვედრასთან დაკავშირებით, მედიასთან კომენტარი გააკეთა პატრიარქის მდივანმა, მამა მიქაელ ბოტკოველმა.

მისი თქმით, თორნიკე მამალაძემ არასწორი ინფორმაცია გაავრცელა. ბოტკოველი ამბობს, რომ ერთი და იგივე ფაქტის მომსწრე ორი ადამიანი ყოველთვის სხვადასხვაგვარად გამოიტანს ინფორმაციას.

მამა მიქაელის განცხადებით, გიორგი მამალაძის ოჯახის წევრებს წარმოდგენა ჰქონდათ, რომ მისი უწმინდესობა არ იყო ინფორმირებული იმ პროცესებთან დაკავშირებით, რაც მამა გიორგის საქმის გარშემო მიმდინარეობს.

– ისინი თვითონ დარწმუნდნენ, რომ პატრიარქი ძალიან კარგად ერკვევა დეტალებშიც კი, ნიუანსებიც კი იცის მან, ოღონდ ვიცით იმდენი, რამდენიც იცის საზოგადოებამ, ჩვენ სხვა შემხებლობა და სხვა ინფორმაციები არსაიდან არ მოგვდის. აქედან გამომდინარე, მისმა უწმინდესობამ სამართლიანად ბრძანა, რომ ჩვენ ყველა უნდა დაველოდოთ გამოძიებას და გამოძიების შედეგი რაც იქნება, ის უნდა იყოს მისაღები, – განაცხადა ბოტკოველმა.

ის არ ადასტურებს ინფორმაციას იმის შესახებ, რომ მამა დავით ჭინჭარაული პატრიარქს სიტყვას აწყვეტინებდა.

მიქაილ ბოტკოველის თქმით, მამა დავით ჭინჭარაულმა რამდენჯერმე ითხოვა სიტყვა და თქვა, რომ უახლოეს დღეებში აპირებს გიორგი მამალაძესთან შეხვედრას.

– ეს იყო მამა დავით ჭინჭარაულის იქ გამოჩენის მიზეზი. მისთვის საუბარი არ შემიწყვეტინებია. შეხვედრას ესწრებოდა კათოლიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი მეუფე იაკობი, რომელსაც საერთოდ არაფერი უთქვამს და მამალაძე მასაც ახსენებდა, თითქოს ერეოდა საუბარში.

ჩვენ უნდა შევეგუოთ იმას, რომ ერთი და იგივე ფაქტის მომსწრე ორი ადამიანი ყოველთვის სხვადასხვაგვარად გამოიტანს ინფორმაციას. ეს მათი ინტერპრეტაციებია, რასაც მამა გიორგის ძმა საუბრობს. ეს მისი ხედვა და მისი ინტერპრეტაციებია. ამიტომაც ხდებოდა საუბრის ჩაწერა. თუ ამის აუცილებლობა იქნება, ჩვენ სრულ ქრონომეტრაჟს გამოვაქვეყნებთ ამ შეხვედრის და თვითონ დარწმუნდებით, როგორ კარგად ერკვევა მისი უწმინდესობა სიტუაციაში. რატომღაც თორნიკე მამალაძე ისევ ცდილობს, რომ მისი უწმინდესობა ინფორმაციის ნაკლებობას განიცდის, – განაცხადა ბოტკოველმა.

მამა მიქაელის თქმით, ილია II-მ შეხვედრაზე დააფიქსირა საკუთარი აზრი და თქვა, რომ მამა გიორგის დაპატიმრება მოულოდნელი იყო როგორც მისთვის, ასევე საპატრიარქოს წარმომადგენლებისთვის.

– ამ შეხვედრის შემდეგ მამა გიორგის ოჯახი დარწმუნდება, რომ მათ მიმართ ტენდენციურად განწყობილი არავინ არ არის. ყველა ველოდებით სიმართლის დადგენას და არანაირი ბარიერები უწმინდესთან არ არსებობს. ადამიანებმა უნდა გამოიჩინონ კორექტულობა, უნდა მიხვდნენ ისინი, რომ იმყოფებიან საპატრიარქოში და ულტიმატუმის ენაზე არ უნდა ესაუბრებოდნენ საპატრიარქოს, მით უმეტეს, მის უწმინდესობას, – აღნიშნა მამა მიქაელმა.

ისევ გაურკვეველი დარჩა, აზიარებენ თუ არა დეკანოზ გიორგი მამალაძეს. მამა მიქაილის თქმით, აღნიშნა, რომ ეს მღვდელმთავრების გადასაწყვეტია.

– უნდა ვისწავლოთ საეკლესიო წესები. ადამიანს, როდესაც აქვს წაყენებული მძიმე ბრალი, მისი ზიარება არ შეიძლება, ვიდრე არ დადგინდება, მიუძღვის თუ არა ამ ადამიანს ბრალეულობა.

ადამიანს წაყენებული აქვს ბრალი და ითხოვს ზიარებას. უნდა დადგინდეს, რაშია საქმე და ამის შემდეგ გადაწყდება ზიარების საკითხი. სასულიერო პირებმა გუშინწინ მოინახულეს მამა გიორგი და მომავალ ორ-სამ დღეში მის მონახულებას აპირებენ კახაბერ გოგოტიშვილი და მამა დავით ჭინჭარაული, – განაცხადა ბოტკოველმა.

დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი ამბობს, რომ ის და დავით ჭინჭარაული მამა გიორგის მომავალ კვირაში მოინახულებენ.

მისი თქმით, ციხეში ისინი იმისთვის შედიან, რომ მამა გიორგის პატრიარქისთვის რაღაცის გადაცემა სურს.

– ჩვენ პატრიარქმა დაგვავალა, რომ შევიდეთ ციხეში და მოვინახულოთ დეკანოზი. როცა მოვახერხებთ, მოვინახულებთ. უბრალოდ, ამ კვირაში ფიზიკურად ვერ მოხერხდება, დღეს, 22 ივნისს, ვერ ვახერხებთ და 23 ივნისს კიდევ სასამართლო პროცესია. სასამართლო პროცესის დროს მონახულება შეუძლებელია და, სავარაუდოდ, იმ კვირაში მოვინახულებთ, თუმცა, კონკრეტულად, დღე არ არის გადაწყვეტილი.

ჩვენ ზიარებისთვის არ შევდივართ. უბრალოდ, მას სურს პატრიარქისთვის რაღაცის გადაცემა და მე და მამა დავითი გავესაუბრებით და გავიგებთ, რა სურს მას. ამის შემდეგ, თუ გვეტყვიან ზიარებაზე, რა პრობლემაა. უბრალოდ, ამას ჩვენით ვერ გადავწყვეტთ იმიტომ, რომ მღვდელი მღვდელს ვერ გადაუწყვეტს, ეზიაროს თუ არა, ეს მღვდელმთავრის გადასაწყვეტია, – ამბობს დეკანოზი კახაბერ გოგოტიშვილი.

❖ ❖ ❖

ხვალ, 23 ივნისს, ციანიდის საქმეზე მორიგი სასამართლო სხდომა გაიმართება. ადვოკატები კიდევ ერთხელ დააყენებენ სხდომის გახსნის საკითხს. პროცესი მოსამართლე ბუგიანაშვილმა პროკურატურის მოთხოვნით დახურა.

## დავით ბაქრაძე: „ეს არის პოლიტიკურად უხარისხო დოკუმენტი“

– ეს არის პოლიტიკურად უხარისხო დოკუმენტი, – ამის შესახებ განცხადება „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბაქრაძემ გააკეთა.

– საკონსტიტუციო პროექტი რამდენიმე ნიშნით დაამახსოვრდება საზოგადოებას. წარმოდგენილი ცვლილება ხალხს ართმევს პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის უფლებას. პროექტი ასევე არის შეცვლილი საწყის ვარიანტთან შედარებით და რვა წლით არის გადადებული ყველა ის პოზიტიური ცვლილება, რაც შეიძლება რაიმე დადებითი ყოფილიყო ამ კონსტიტუციაში. საუბარი მაქვს პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე. არსებობს სრული ანტიკონსენსუსი წარმოდგენილი დოკუმენტის წინააღმდეგ. ყველა პოლიტიკური პარტია, მთელი არასამთავრობო სექტორი, ყველა მოქმედი დამოუკიდებელი ინსტიტუტი არის წინააღმდეგი წარმოდგენილი ცვლილების. ეს ნიშან-თვისება განსაზღვრავს, თუ რა სახის დოკუმენტთან გვაქვს საქმე და რამდენად ღირს მისი მხარდაჭერა.

მთავარი პრობლემა, რაც ამ კონსტიტუციაშია, არის ძალიან დიდი რაოდენობა ერთჯერადი გამონაკლისი მექანიზმების, რაც თავისთავად მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის პოლიტიკურად უხარისხო დოკუმენტი. ჩვენ გვაქვს ერთჯერადი გამონაკლისი, რომ




პრეზიდენტი აირჩევა არაპირდაპირ, მაგრამ შემდეგ არჩევნებზე აირჩევა პირდაპირი წესით. გვაქვს ერთჯერადი გამონაკლისი, რომ გადავდივართ ახალ საარჩევნო სისტემაზე, მაგრამ შემდეგ არჩევნებზე საარჩევნო სისტემა რჩება ისეთი, როგორიც დღეს არის. გვაქვს ერთჯერადი გამონაკლისი, რომ ბარიერი რჩება ხუთი პროცენტი, მაგრამ ერთჯერადად იქნება სამი პროცენტი. გამონაკლისია ისიც, რომ პრეზიდენტს ვირჩევთ ხუთი წლით, მაგრამ ერთჯერადად ავირჩევთ ექვსი წლით. ასეთი გამონაკლისები მიუთითებს იმაზე, რომ პოლიტიკურად უხარისხო დოკუმენტია“, – განაცხადა დავით ბაქრაძემ.

## ირმა ინაშვილი: „კვირიკაშვილი ახორციელებს ხელისუფლების უზურპაციას, ვურჩევ გადადგეს“



პარლამენტის ვიცე-სპიკერი და „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერი ირმა ინაშვილი პრემიერ-მინისტრს თანამდებობიდან გადადგომას ურჩევს. ინაშვილის განცხადებით, სწორედ კვირიკაშვილის დირექტივებით მიმდინარეობდა საკონსტიტუციო ცვლილებების განხილვა და კვირიკაშვილი გარემოცვასთან ერთად ხელისუფლების უზურპაციას ახორციელებს.

ინაშვილის თქმით, „ქართულმა ოცნებამ“ კონსტიტუციის საყოველთაო განხილვით საზოგადოება მოატყუა. ინაშვილი ივანიშვილს მიმართავს, როგორც ყველაზე გავლენიან მოქალაქეს და მოუწოდებს, ჩაერიოს არსებულ ვითარებაში.

## ნათელაშვილი: „ქართული ოცნება“ არჩევნების გაყალბებას გეგმავს“

„ლეიბორისტული პარტიის“ ლიდერი შალვა ნათელაშვილი საქართველოს პრეზიდენტს მოუწოდებს, თვითმმართველობის არჩევნები ოქტომბრის ბოლოს დანიშნოს. ნათელაშვილი ამბობს, რომ „ქართული ოცნება“ არჩევნების მასობრივ გაყალბებას და არჩევნების ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩატარებას გეგმავს. „ლეიბორისტების“ ლიდერი ამბობს, რომ თვითმმართველობის არჩევნების ოქტომბრის შუა რიცხვებში ჩატარების შემთხვევაში, ოპოზიცია ნორმალური საარჩევნო კამპანიის წარმოებას ვერ მოასწრებს.

– მივმართავ პრეზიდენტს, რომელიც არის კანონიერების და სამართლიანობის გარანტი კონსტიტუციით და რომელიც ნიშნავს ამ არჩევნებს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები დანიშნეთ ოქტომბრის ბოლო რიცხვებში. ეს იქნება უზარმაზარი დარტყმა რეჟიმის იმ მეოცნებეებზე, რომლებიც ამზადებენ არჩევნების შედეგების მასობრივ ფალსიფიცირებას, განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

შალვა ნათელაშვილი დღევანდელ ბრიფინგზე საკონსტიტუციო ცვლილებების პარლამენტში განხილვასაც გამოეხმაურა და ცვლილებებს ანტიკონსტიტუციური უწოდა.

– მიდის ხელისუფლების უზურპაცია მრავალი წლით და თავიანთი ჭკუით, სამუდამოდ, მაგრამ მათ ვპირდებით, რომ ძალიან მალე შეიცვლება ეს ხელისუფლება. შეტანილი ძირითად კანონში იქნება გაუქმებული, ხოლო ამ




ცვლილებების ხმის მიმცემი სუბიექტები, ფულის მაძიებლები, ქვეყნის მოღალატენი მორალურ და იურიდიულ პასუხისგებაში იქნებიან მიცემული, – აცხადებს ნათელაშვილი.

# დიმიტრი ლორთქიფანიძე: „მეფის შენახვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე პრეზიდენტის“

გულიკო ბალაძე

პარლამენტის ყოფილი წევრი დიმიტრი ლორთქიფანიძე „ახალ თაობასთან“ კონსტიტუციური მონარქიის შემოღებისა და საერთოდ, მეფის ინსტიტუტის აღდგენის აუცილებლობაზე საუბრობს.

***— ბატონო დიმიტრი, დღეს საზოგადოება აქტიურად განიხილავს პატრიარქის განცხადებას, რომელიც შეეხება კონსტიტუციური მონარქიის შემოღებას. ვიცი, რომ ემხრობით ამ იდეას. როგორ ფიქრობთ, ქართველი ერი დღეს მზად არის კონსტიტუციური მონარქიის შემოღებისთვის?***

— ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის პოზიცია იყო, არის და იქნება სახელმწიფო მართვის ერთადერთ მისაღებ მოდელს კონსტიტუციური მონარქია, ზოგადად მონარქია წარმოადგენდეს.

***— პატრიარქი მეფის ინსტიტუტის აღდგენის აუცილებლობამდე იმანაც ხომ არ მიიყვანა, რომ წლების განმავლობაში ქვეყანაში ვერ მოხერხდა ძლიერი პოლიტიკური სპექტრის ჩამოყალიბება და სახელმწიფოს სათავეში ძლიერი ხელისუფლების ყოფნა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ერთიანობასა და მდგრადობას ისე, რომ შიდა წინააღმდეგობას არ ეჩინა თავი?***

— უწმინდესის მაგივრად ვერ გიპასუხებთ. ერთი რამ შეგიძლია გითხრათ — მისი უწმინდესობა, როგორც საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელი, როგორც წარსულში, ასევე მომავალშიც მხარს დაუჭერს მონარქიის აღდგენას, როგორც ჩვენი სახელმწიფოს თვითმყოფადობისა და სახელმწიფოებრიობის გარანტს, გარანტს იმისა, რომ ეს მიწა არის ქართული. ჩვენ ეს ტრადიცია, რომელიც მეფის ინსტიტუტთან ასოცირდება, წარმოგვაჩენს სხვა ერებს შორის.

ჩვენი სამეფო დინასტია არის ერთ-ერთი ყველაზე ძველი და პატივსაცემი მსოფლიოში არსებულ მონარქიებს შორის. დღეს მსოფლიოში 40-მდე მონარქიაა. ევროპაში საკონსტიტუციო მონარქია წარმოგვიდგება ბრიტანეთის, ბელგიის, ნიდერლანდების, შვედეთის, დანიის მონარქიების სახით. ხშირ შემთხვევაში მეფისა და მისი ადმინისტრაციის შენახვა უფრო იაფი ჯდება, ვიდრე პრეზიდენტის. მაგალითად, ესპანეთში მეფის ინსტიტუტის შენახვა 6 მილიონი ევრო ჯდება. ამდენად, მონარქის შენახვა უფრო იაფი დაუჯდება სახელმწიფოს, ვიდრე ისეთი არაფრისმაქნისი საპრეზიდენტო ინსტიტუტის შენახვა-შენარჩუნება, როგორიც არის დღეს მარგველაშვილი და მისი ადმინისტრაცია.

***— მარგველაშვილი თავის როლს ვერ ასრულებს?***

— მარგველაშვილი თავის როლს ვერ ასრულებს. ის ხშირად ოპონენტის როლშია არსებულ ხელისუფლებასთან. პრეზიდენტი, როგორც სახელმწიფოს მეთაური და მთავარსარდალი, სუროგატია მეფის ინსტიტუტისა. მთავარსარდალი, ქვეყნის მეთაური, კონსტიტუციის გარანტი სწორედ მეფის უფლებამოსილებებია. პრეზიდენტისაგან განსხვავებით, რომელიც ხალხის წიაღიდან აირჩევა, მეფე არის ორგზის მირონცხებული. მისი ლეგიტიმაცია იძლევა კონსტიტუციის გარანტორობის საშუალებას. ის არის ხალხის ინტერესების გამომხატველი და მისი განუხრელად დამცველი.

***— ამით რისი თქმა გინდათ?***

— 2014 წელს ჩვენ რომ გვყოლოდა მეფე და არა — პრეზიდენტი, მონარქი გადამწყვეტი უპირატესობით იქონიებდა გავლენას, საქართველოს პარლამენტს ანტიდისკრიმინაციული კანონი არ მიეღო. საპარლამენტო დემოკრატიებში, საპარლამენტო მონარქიებში მეფის ინსტიტუტს გააჩნია ზნეობრივი კონტროლის ფუნქცია. კონტროლი გამომდინარეობს იმ ღირებულებებიდან, რომლის ერთგული რჩება საზოგადოება. მეფე ფასეულობების დამცველია.

***— თქვენ ერთმანეთს შეადარეთ მონარქი და პრეზიდენტი. სხვათა შორის, მიწაზე, რომელზეც საზოგადოება ასე ღელავს, მარგველაშვილმა თქვა, მიწის გაყიდვის აკრძალვის შინაარსს ამ ეტაპზე ვერ ვხედავო.***

— ამას მოგახსენებდით. მეფისგან განსხვავებით, პრეზიდენტს იმდენად დაბალი ხარისხის და იმდენად პერსონალურ დონემდე დაყვანილი პასუხისმგებლობა აქვს, რომ ის ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება აბსოლუტურად თუ არა, დიამეტრალურად განსხვავდებოდეს საზოგადოების აზრისაგან. ჩვენი მოქალაქეების აბსოლუტური უმრავლესობა წინააღმდეგია მიწის უცხოელებზე გასხვისების. პრეზიდენტისთვის ეს გასაგები მესიჯი უნდა იყოს, მაგრამ ხომ ხედავთ, პრეზიდენტს სხვა აზრი აქვს. ის ნეოლიბერალური ღირებულებებით არის გაჯერებული. რამდენად პასუხობს პრეზიდენტი კონსტიტუციის გარანტის როლს, როდესაც საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ითხოვს, კონსტიტუციაში იყოს შეტანილი ეს აკრძალვა? აქ უკვე კონფლიქტია. ეს კონფლიქტი აპრიორი აღმოიფხვრებოდა, პრეზიდენტის ნაცვლად მეფე რომ გვყავდეს. ასეთ საკითხებში მეფეს ექნებოდა შეუვალი პოზიცია.

ამიტომ ნეოლიბერალებს ძალიან ეშინიათ და ქილიკობენ. ამბობენ, თითქოს რაღაც პრივილეგირებული კასტა უნდა გაჩნდეს და წარმოიშვას არისტოკრატია. ასე არ არის. იქნება მხოლოდ მეფის ინსტიტუტი, რომელმაც უნდა ჩაანაცვლოს პრეზიდენტი.



***— მე ქართველთა, აფხაზთა, რანთა, კახთა და ა.შ. საკმაოდ შთამბეჭდავი ტიტულატურაა. როცა საუბარია ამგვარ ტიტულატურაზე, შეიძლება ამ სახელწოდების მონარქს გავლენა ჰქონდეს ოკუპირებულ ტერიტორიაზე დარჩენილ მოსახლეობაზე და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე?***

— საპარლამენტო მონარქიებში მეფის ინსტიტუტი ანაცვლებს პრეზიდენტის ინსტიტუტს. ამ შემთხვევაში მეფე, რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის, ეროვნული უმცირესობებისა და ამ სახელმწიფოში შემავალ ტერიტორიულ წარმონაქმნებში მცხოვრები ადამიანების უფლებების დაცვის გარანტია. ასეთ შემთხვევაში მეფე არის უმაღლესი მთავარსარდალი. აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში (რომელიც ოკუპირებულია) მცხოვრები მოსახლეობისთვის მეფის ინსტიტუტი იქნება დამატებითი სტიმული გარანტიების კუთხით. ასევე სრულად და უნივერსალურად მისაღები საქართველოს ტერიტორიაზე, ავტონომიურ წარმონაქმნებში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისთვის. შემიძლია ჩამოვთვალო რეგიონები, სადაც გვერდიგვერდ ცხოვრობენ სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფების წარმომადგენლები. მაგალითად, კახეთში გვერდიგვერდ ცხოვრობენ თუშები, ოსები, ქისტები, წოვა თუშები. ამ ადამიანებისთვის და იბერიულ-კავკასიური ტომებისთვის თავისი ტრადიციების დაცვის უნივერსალური გარანტი შეიძლება იყოს მეფის ინსტიტუტი. ხომ ხედავთ, მარგველაშვილს, ელემენტარულად, მიწასთან დაკავშირებითაც არ გააჩნია კონსენსუსი თავის მოსახლეობასთან.

***— როგორც ჩანს, მოთხოვნაა გამაწონასწორებელ ფიგურაზე და არბიტრზე. უნდათ პრეზიდენტი იყოს არბიტრი. როგორც ჩანს, პატრიარქმა არბიტრის როლი დიდი ხანია დაინახა მეფეში. რამდენიმე ტელეკომპანიამ გააკეთა გამოკითხვა და მონარქიის აღდგენის მომხრეთა რიცხვმა თითქმის 40%-ს მიაღწია. როგორც ჩანს, ერი ჯერ არ არის მზად მეფის ინსტიტუტის აღდგენისთვის. რა განაპირობებს ამას?***

— ერმა უნდა დაინახოს, რომ მეფისგან განსხვავებით, პრეზიდენტი მარგველაშვილი ხშირ შემთხვევაში ვერ ახერხებს, იყოს ნეიტრალური არბიტრი. მარგველაშვილი ხშირ შემთხვევაში იხრება იმ ძალებისკენ, რომელთაგანაც მხარდაჭერას გრძნობს იმ ძალების საწინააღმდეგოდ, რომლებიც მას მხარს არ უჭერენ. სამეფო დინასტიის წარმომადგენელი პირდაპირ პასუხისმგებელია ღვთისა და ერის წინაშე. მას გააჩნია თავისი სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია ეროვნული ინტერესების განუხრელი დაცვა. ნეიტრალური არბიტრი არის მხოლოდ მეფე და არა — პრეზიდენტი, რომელიც კონკრეტული პოლიტიკური ძალების მხარდაჭერის გამო, ვერ იქნება ნეიტრალური არბიტრი.

***— ისტორიკოსმა გიორგი ოთხმეზურმა განაცხადა, ბაგრატიონების დამსახურება იმდენად დიდი იყო, რომ მათი ჩანაცვლება არც ერთ ეპოქაში არ უფიქრიათო. ეს გასაგებია, მაგრამ შესაძლოა ადამიანებზე ძალიან დიდი გავლენა იქონია არა მხოლოდ საბჭოთა პროპაგანდამ, არამედ იმანაც, რომ ბოლოს რუსმა იმპერიალისტებმა ბაგრატიონების დინასტია დაამხეს, სამეფო ოჯახი რუსეთში გადაასახლეს და გაანადგურეს. შედეგად საქართველო რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ამ მეხსიერებას აქვს დიდი გავლენა. ალბათ, დაფიქრებულხართ ამაზე.***

— ძალიან საინტერესო საკითხს შეეხეთ. ბაგრატიონების დინასტია უძველესია, რომელიც მომდინარეობს გვარამ I-ელიდან, რომლის პაპაც იყო ვახტანგ გორგასალი. გვარამ I-ელ კურაპალატიდან იწყება ბაგრატოვანთა დინასტია და მხოლოდ 1801 წელს აღმოსავლეთ საქართველოში, 1810 წელს კი დასავლეთ საქართველოში, ხელოვნურად გააუქმეს მეფის ინსტიტუტი. შესაბამისად, გიორგი XII-ის მეფობის პერიოდში მოხდა წყვეტა. სამეფო ინსტიტუტის გაუქმების შემოქმედი გახდა რუსეთის იმპერია. მას შემდეგ 207 წელი გავიდა. ისტორიისთვის 207 წელი არაფერია. თუკი ჩვენ აღვადგენთ საპარლამენტო მონარქიას, ამით ისტორიულ სამართლიანობასაც აღვადგენთ. მეფის ინსტიტუტის აღდგენა იმ ზომის პოლიტიკური აქტია, როგორიც დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. 207-წლიანი პაუზის შემდგომ, ეს იქნება ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის ცოცხალი უჯრედის შემატების ფაქტი. თუმცა, მეფის ინსტიტუტის აღდგენა დღეს და ხვალ ვერ მოხდება. დროისა და გარემოებების მიხედვით, აუცილებლად გვექნება შესაძლებლობა, მეფის ინსტიტუტის აღდგენის ფაქტის წინაშე დავდგეთ.

***— პატრიარქის ამ წინადადებას ხელისუფლების წარმომადგენელნი დადებითად შეხვდნენ. თუმცა, ზოგმა ეჭვი გამოთქვა, აღნიშნული წინადადება ხელისუფლებიდან ხომ არ მოდისო, მიუხედავად იმისა, პატრიარქი მეფის ინსტიტუტის აღდგენაზე ადრეც იღწვოდა. თქვენც ხომ არ გაგიჩნდათ რაიმე ეჭვი?***

— მისი უწმინდესობა ბრძენია. ჩვენი პატრიარქი არის ახალი მოსე.

***— როგორ?***

— ილია მეორის პატრიარქობიდან 40 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში მან სრული სიბნელიდან გამოგვიყვანა. რა გასაკვირია, პატრიარქის მხრიდან მონარქიის ინსტიტუტის შემოღებაზე ქადაგება. რა გასაკვირია, საქართველოს ეკლესია მომხრე იყოს მეფის ინსტიტუტის აღდგენის, რაც, თანამედროვე გაგებით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ის იქნება ყოვლისმპყრობელი მმართველი. მეფე მეფობს, მაგრამ არ მართავს. ეს ფუნქციაა ძალიან მნიშვნელოვანი — ჩვეულებრივი საპარლამენტო რესპუბლიკაა, სადაც ძლიერი პრემიერი და აღმასრულებელი ხელისუფლებაა. თუმცა, ნეოლიბერალებს ძალიან ძლიერი მართლმადიდებელი მეფის, როგორც ძლიერი ფიგურის, ეშინიათ. ამიტომაც არის, რომ გიგი უგულავა, ზურა ჯაფარიძე და ბევრი სხვა წინააღმდეგი არიან მეფის ინსტიტუტის შემოღების. მასობრივად უნდა დაიწყოს დისკუსია, რათა ნათელი გახდეს, რასთან გვაქვს საქმე. მონარქია დაამშვიდებს ერს.

***— 1991 წელს არავინ აღმოჩნდა ისეთი ავტორიტეტი, რომ რუსთაველზე ტყვია არ გავარდნილიყო (ეკლესიამაც ვერ გაბედა ჩარევა). ალბათ ასეთი კონფლიქტების დროს მეფეს დიდი როლი დაეკისრება?***

— რა თქმა უნდა. არ დაგავიწყდეთ, რომ მონარქიულ ქვეყნებში მეფეს თვალის ჩინივით უფრთხილდებიან. ევროპის უმეტესი ქვეყნები მონარქიულია. ბაგრატოვანები ერთ-ერთი უძველესი სამეფო დინასტიაა და აღიარებულია მთელ მსოფლიოში, მათ მიმართ დადებითად არიან განწყობილი. ამიტომ საქართველოში მონარქიის ინსტიტუტის აღდგენა ახალი დიპლომატიური არხების გახსნას ხელს შეუწყობს. ძალიან საინტერესო პროცესი იქნება.

## დიმიტრი ხუნდაძე: „სახელმწიფო დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე უნდა ზრუნავდეს“

უმრავლესობის წევრმა დიმიტრი ხუნდაძემ კონსტიტუციაში სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის ასახვის საკითხი დასვა.

— დემოგრაფიული მდგომარეობა ტერიტორიული მთლიანობის შემდეგ ყველაზე დიდი ეროვნული პრობლემაა ქვეყნისთვის, მით უმეტეს დღეს, როდესაც შევედით გარდაუვალი დემოგრაფიული კრიზისის ფაზაში. ეს კრიზისი მინიმუმ ერთი დემოგრაფიული თაობა, ანუ 30 წელი გაგრძელდება. დემოგრაფიული პრობლემები დღეს არ დაწყებულა. ეს სათავეს 90-იანი წლებიდან იღებს და ყოველწლიურად ღრმავდება. სწორედ ამიტომ მივიჩნევ მიზანშეწონილად, რომ კონსტიტუციაში აისახოს სახელმწიფო დემოგრაფიული პოლიტიკის შესახებ, თუნდაც მე-5 თავში შემდეგი ფორმულირებით: სახელმწიფო ზრუნავს ქვეყანაში დემოგრაფიული ვითარების გაუმჯობესებაზე და ამისთვის ქმნის ყველა შესაძლო პირობას, — განაცხადა დიმიტრი ხუნდაძემ.



საქართველოს პარლამენტი, პირველი მოსმენით, საქართველოს კონსტიტუციაში და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ კონსტიტუციურ კანონში დაგეგმილ ცვლილებებს იხილავს.

## მაკრონი და მერკელი რუსეთისთვის სანქციების გახანგრძლივებას მოითხოვენ

22-23 ივნისს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა მეთაურების სამიტზე მერკელი და მაკრონი კოლეგებს რუსეთის სანქციების გახანგრძლივებას შესთავაზებენ. ინფორმაცია ამის შესახებ დასავლური მედია საკუთარ წყაროზე დაყრდნობით ავრცელებს.

წყაროს ინფორმაციით, ამის შემდეგ ევროკავშირის საბჭოს ხელმძღვანელი დონალდ ტუსკი სანქციების გახანგრძლივების პროცედურას აამოქმედებს. ქვეყნები თვლიან, რომ საჭიროა გერმანიისა და საფრანგეთის მხრიდან მკაფიო რეკომენდაციები.

ეკონომიკური სანქციების მოქმედება 31 ივნისს მთავრდება.



# თბილისის საზოგადოებრივ ტრანსპორტში ვადიანი სამგზავრო აბონიმენტები ამოქმედდება



თბილისის მუნიციპალურ ტრანსპორტში მგზავრობისას ვადიანი სამგზავრო აბონიმენტების სისტემა დაინერგება.

გარდა ამისა, მგზავრებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ მგზავრობის საფასურის გადახდისას ყველა ბანკის პლასტიკური ბარათი გამოიყენონ. როგორც „კომერსანტს“ თბილისის მერიაში განუცხადეს, ახალ სისტემაზე გადასვლა და აბონიმენტების ამოქმედება დაახლოებით 2018 წლის ივლისიდან მოხდება. სწორედ ამ პერიოდისთვის გაირკვევა, ისარგებლებენ თუ არა ვადიანი აბონიმენტების შეძენის შემთხვევაში შეღავათებით მგზავრები ისევე, როგორც ეს ევროპის და სხვა დიდ ქალაქებში მოქმედებს.

ამასთან დაკავშირებით და, საერთოდ, თბილისში საზოგადოებრივ ტრანსპორტში მგზავრობის საფასურის გადახდის, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მართვისა და კონტროლის სისტემის შექმნის მიზნით, მერიამ ინტერესთა გამოხატვა გამოაცხადა. დაინტერესებულმა საფინანსო ინსტიტუტებმა შესაბამისი წინადადებები თბილისის სატრანსპორტო კომპანიაში 10 ივლისის 18 საათამდე უნდა წარადგინონ.

პირველი ეტაპის გამარჯვებულებს სპეციალური კომისია განაცხადების მიღების ვადის ამოწურვიდან 2 კვირის ვადაში გამოავლენს და ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მთავრობას წარუდგენს მოსაწონებლად.

მეორე ეტაპზე გადასული კომპანიებისთვის გაიმართება აუქციონი, სადაც გამარჯვებული კომპანია თბილისის სატრანსპორტო კომპანიისთვის შეთავაზებული საუკეთესო ფინანსური წინადადების წარდგენის მიხედვით იქნება გამოვლენილი. აუქციონი 10 მლნ. ლარიდან დაიწყება და გამარჯვებულ კომპანიას სისტემის მართვა 10 წლით გადაეცემა.

გამარჯვებულ კომპანიას ვალდებულება ექნება, თბილისის მუნიციპალურ კომპანიაში გადახდის სისტემის მოდერნიზაცია და მისი დანერგვა ერთ წელში უზრუნველყოს. გამარჯვებულ კომპანიას ენიჭება ასევე ექსკლუზიური უფლება მეტროს ვესტიბიულებში საბანკო სერვის ცენტრების და მისი თანმდევი საბანკო სერვისების განთავსებისთვის შემდეგი 10 წლის განმავლობაში. საიჯარო თანხის მოცულობა წელიწადში 980.000 ლარით არის განსაზღვრული.

მერიაში აცხადებენ, რომ გადახდის ახალი თანამედროვე სისტემა მგზავრის კომფორტზე იქნება ორიენტირებული და მომხმარებელს საშუალებას მისცემს სწრაფი გადახდის აპარატებით, ბანკში და ინტერნეტ გვერდის საშუალებით შეიძინოს როგორც ერთჯერადი, ასევე ვადიანი სამგზავრო აბონიმენტები, რომლებსაც სისტემაში ჩართული ბანკები უზრუნველყოფენ.

სისტემის დანერგვის შემდეგ, შესაძლებელი იქნება ავტობუსში გადახდისთვის მომხმარებელმა გამოიყენოს ქართული ბანკების მიერ გამოშვებული საბანკო ბარათები, სატრანსპორტო ბარათი, ასევე ვირტუალური გადახდის საშუალებები, როგორიცაა მობილური ტელეფონი ან სურვილისამებრ შეიძინონ ერთჯერადი ბილეთები.

ქართული ბანკების მიერ გამოშვებული ბარათებით გადახდისას მომხმარებელი დამატებით არ გადაიხდის საბანკო მომსახურების საკომისიოს. ამავე პროექტის ფარგლებში გამოიცვლება ავტობუსებში არსებული მოძველებული ვალიდატორები – გადახდის აპარატები, რომლებიც ახალი, თანამედროვე აპარატურით ჩანაცვლდება. ამასთან, მგზავრობის არსებული ტარიფი უცვლელი დარჩება.

გარდა ამისა, დედაქალაქის ვიზიტორებს საშუალება ექნებათ, მგზავრობის ღირებულება როგორც საქართველოში გამოშვებული სატრანსპორტო ბარათებით, ასევე უცხოური საბანკო ბარათებით გადაიხადონ.

ახალი სისტემა მოიცავს მართვისა და კონტროლის ავტომატურ სისტემასაც, რომლის საშუალებითაც მეტი სიზუსტით იქნება შესაძლებელი ავტობუსის განრიგის და მოსვლის დროის კონტროლი. დაიხვეწება საინფორმაციო ვებ-გვერდი და მობილური აპლიკაცია.

შეგახსენებთ, ამ დროისათვის არსებული გადახდის სისტემა 2007 წელს დაინერგა და მის ოპერირებას საქართველოს ბანკი ახორციელებს.

# თბილისში, კოსტავასა და ბახტრიონზე, მოსახლეობის სიმჭიდროვე დასაშვებ ნორმაზე ორჯერ მაღალია



– თბილისში, კოსტავას გამზირსა და ბახტრიონის ქუჩაზე, მოსახლეობის სიმჭიდროვე დასაშვებ ნორმაზე ორჯერ მეტია, – ასეთია „სითი ინსტიტუტი საქართველოს“ მონაცემები.

თბილისის მიწათსარგებლობის გენერალურ გეგმაზე მუშაობის პროცესში, საცხოვრებელი განაშენიანების ნორმატიულ დასაშვებ სიმჭიდროვედ განისაზღვრა 397 მოსახლე 1 ჰექტარზე. კოსტავასა და ბახტრიონზე ეს მაჩვენებელი 1 ჰექტარზე 800 მოსახლეს აღემატება.

ნორმატივზე მაღალი სიმჭიდროვე ფიქსირდება დიდუბეში (671 მოსახლე 1 ჰექტარზე), ვერაზე (578), ვარკეთილში (549), ქვემო ჩუღურეთში (484), ვაზისუბანსა და მერვე ლეგიონში (457), ვაკესა და ბაგებში (435), ვაჟა-ფშაველას კვარტლებში (425) და დიღმის მასივში (421).

თბილისის გენერალური გეგმის საპროექტო ჯგუფის თანახელმძღვანელი მერაბ ბოლქვაძე საზოგადოებრივთან აცხადებს, რომ ცენტრალურ უბნებში წლების განმავლობაში მშენებლობისას კოეფიციენტების მომატება ხდებოდა. შედეგად, მოსახლეობისთვის საცხოვრებელი გარემო უარესდება და ამ უბნებში, სავარაუდოდ, უძრავი ქონების ფასი მალე შემცირდება.

# „დღეს საქართველოში წარმოებული თევზის ჯიშები ევროკავშირის ბაზარზე მოთხოვნადი არ არის“

– ქართულ თევზს საექსპორტო პოტენციალი აქვს, – ამის შესახებ „მონადირეთა და მეთევზეთა ფედერაციის“ პრეზიდენტი თემურ ტყემალაძე „კომერსანტთან“ საუბრისას განმარტავს.



როგორც ცნობილია, ევროკავშირის ბაზარზე საქართველოდან შავი ზღვის თევზისა და თევზის პროდუქტების შეტანა უკვე შესაძლებელია. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრმა ლევან დავითაშვილმა გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, შემდგომი ეტაპი ითვალისწინებს საქართველოს მხრიდან ევროკომისიისთვის აღიარებული ბიზნესოპერატორების სიის წარდგენას, რის შემდეგაც აღნიშნული ბიზნესოპერატორები შეძლებენ ევროკავშირის ქვეყნებში შავი ზღვის თევზისა და თევზის პროდუქტების ექსპორტის განხორციელებას.

ტყემალაძე განმარტავს, რომ ქართულ თევზი ამ დროისთვის ადგილობრივ ბაზარს ვერ აკმაყოფილებს და ექსპორტზე გატანა ამ ეტაპზე შეუძლებელია. მისი თქმით, მოვლენა დადებითია, რადგან შესაძლოა, ამან თევზის წარმოებაზე ინტერესი გააჩინოს.

როგორც ტყემალაძე განმარტავს, უნდა მომრავლდეს ის ჯიშები, რაც ევროკავშირის ბაზრისთვის მიმზიდველია. მისი თქმით, საქართველოს აქვს საკმარისი რაოდენობის წყალსატევები და მდინარეები, სადაც შესაძლებელი იქნება საექსპორტო ბაზრებისთვის სასურველი თევზის მოშენება.

– არის ჟინვალის, წალკის წყალსატევები, ამაზე უნდა გამოიყოს გრანტები და თევზის წარმოების კულტურა ამაღლდეს. ჩვენი მდინარეები ძალიან ცუდ მდგომარეობაშია. საუბარი მაქვს რიონზე, მტკვარზე. აქ სპორტული თევზჭერაც კი არ ხერხდება. ქართული თევზი იქნება სერიოზული პროდუქტი, რომლითაც ბევრი რამე შეიძლება დაკმაყოფილდეს, – აცხადებს ტყემალაძე.

მისი ინფორმაციით, დღეს საქართველოში თევზის ისეთი ჯიშებია მოშენებული, როგორიცაა საზანი, კარპი, ლოქო და ამური. თუმცა, ყველა ეს დასახელება ევროკავშირის ბაზარზე მოთხოვნადი არ არის. როგორც ტყემალაძე განმარტავს, კარგი იქნება, საქართველო კალმახის წარმოებას გაზრდის და ზუთხის წარმოებას დაიწყებს.

– პოტენციალი არსებობს, თუმცა ამაში უნდა ჩაერთოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. რესურსი არის, საკმარისი ფინანსური რესურსების დახმარებით შესაძლოა, გადავეწყოთ იმ ჯიშებზე, რომელიც ევროპაში მოთხოვნადია, – აცხადებს ტყემალაძე.

სოფლის მეურნეობის ინფორმაციით, მესამე ქვეყნების ოფიციალურ სიაში საქართველოს შეყვანის მიზნით, 2014 წელს ქართულმა მხარემ ევროკომისიაში განაცხადი წარადგინა. ამის საფუძველზე, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის სისტემის, ასევე, ევროკავშირში საექსპორტოდ განკუთვნილი თევზისა და თევზის პროდუქტების წარმოებების ადგილზე აუდიტის განსახორციელებლად, საქართველოში ევროკომისიის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SA#TE _ Directorate General Health and Food Safety) სურსათისა და ვეტერინარიის ოფისის (FVO _ Food and Veterinary office ) აუდიტორ-ინსპექტორები იმყოფებოდნენ.

როგორც პრესკონფერენციაზე აღინიშნა, ქართული თევზის მწარმოებელი კომპანიები თევზისგან, ძირითადად ქაფშიასგან, თევზის ფქვილსა და თევზის ზეთს აწარმოებენ, ადგილობრივი ბაზრისთვის კი მცირე რაოდენობით ადამიანების საკვებად განკუთვნილი თევზის ცოცხალი სახით რეალიზაციასაც ახორციელებენ. აღსანიშნავია, რომ ქართულ თევზის ფქვილი პროტეინების მაღალი პროცენტული შემცველობით გამოირჩევა.

# „უცხო ქვეყანაში დაზღვეული მანქანების მძღოლებს დაზღვევის ყიდვა საქართველოში მაინც მოუწევთ“

დაზღვევის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის კოტე სულამანიძის განცხადებით, საქართველოში არარეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებები ვალდებულნი იქნებიან, საზღვრის გადმოკვეთისთანავე მანქანა დააზღვიონ, მიუხედავად იმისა, თავის ქვეყანაში უკვე დაზღვეული აქვთ თუ არა. ამის შესახებ მან რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დროს ლევან ქისტაურთან ერთად“ ისაუბრა.

როგორც ცნობილია, „საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო სახელმწიფოში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელის სამოქალაქო პასუხისმგებლობის სავალდებულო დაზღვევის“ შესახებ კანონპროექტი უკვე პარლამენტშია ინიცირებული.

აღნიშნული კანონპროექტით, საქართველოს ტერიტორიაზე მოძრავი უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების დაზღვევა სავალდებულო ხდება. კანონპროექტის ავტორი საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური, ინიციატორი კი საქართველოს მთავრობაა.

სულამანიძის განცხადებით, სამომავლოდ საქართველოში „მწვანე ბარათის“ სისტემის დანერგვაც იგეგმება და ევროპაში შეძენილი სადაზღვევო პოლისით გადაადგილება ჩვენს ქვეყანაშიც დასაშვები გახდება.



– აღნიშნული ვალდებულება, რომელიც კანონპროექტშია გაწერილი, ნიშნავს იმას, რომ უცხო ქვეყანაში რეგისტრირებული მანქანის მფლობელმა, რომელიც ჩვენს ქვეყანაში შემოდის, სავალდებულო წესით უნდა შეიძინოს სადაზღვევო პოლისი, მიუხედავად იმისა, თავის ქვეყანაში დაზღვეული აქვს თუ არა ავტომობილი, რადგან ჩვენს ქვეყანაში მათი ქვეყნის დაზღვევა არ მოქმედებს. თუმცა სამომავლო ნაბიჯი იქნება ის, რომ ჩვენ შევალთ „მწვანე ბარათის“ სისტემაში, რომელიც ევროპაში მოქმედებს და ევროპაში შეძენილი სადაზღვევო პოლისით ევროპაში გადაადგილება ნებადართულია, – განაცხადა სულამანიძემ.

მისი თქმით, აღნიშნულ პროცესში ის სადაზღვევოები ჩაერთვებიან, ვისაც ამისი სურვილი ექნება.

– იქნება ცენტრალიზებული სადაზღვევო სისტემა, როგორც ცალკე იურიდიული პირი, რომელსაც ქვეყანაში არსებული ყველა სადაზღვევო კომპანია დაარსებს და ეს იქნება მათი ერთი შვილობილი კომპანია. სწორედ ეს ერთი შვილობილი კომპანია უზრუნველყოფს შემოსულ ავტომობილებზე პოლისების გაყიდვას. ამით ჩვენ ბიზნესპროცესების ოპტიმიზაციას ვახდენთ და დაზღვევის პოლისების გაყიდვას ვამარტივებთ. პოლისების გაყიდვა ინტერნეტის საშუალებითაც მოხდება, – აღნიშნა კოტე სულამანიძემ.

ამასთან, მისივე თქმით, კანონში გაწერილი ფასები, რომელიც სხვადასხვა ტიპის მანქანისთვის განსხვავებული იქნება, უცხო ქვეყნიდან შემოსული ტურისტისთვის მისაღები იქნება:

– პოლისების ფასი კანონში გაიწერა. ფასი დამოკიდებული იქნება მანქანის კატეგორიაზე და ასევე, ვადაზე, ანუ მფლობელი რა ვადით ყიდულობს პოლისს. იქნება ორკვირიანი, ერთთვიანი, სამთვიანი და ერთწლიანი ვადები. მსუბუქ ავტომობილზე ორკვირიანი პოლისის ფასი 30 ლარი იქნება, ერთთვიანზე 50 ლარი და ა.შ. ფასი უცხო ქვეყნიდან შემოსული ტურისთვის საკმაოდ მისაღები იქნება. პირობითად, იმ კონტინგენტისთვის, ვინც მეზობელი ქვეყნებიდან ჩვენთან შემოდის, სადაზღვევო პოლისის არსებობა სიურპრიზი არ იქნება, რადგან მათ ქვეყნებში ეს სისტემა მოქმედებს, – განაცხადა სულამანიძემ.

# ლარში სავალდებულო ფასდადების შემდეგ საშა ტერნესი უძრავი ქონების გაძვირებას პროგნოზირებს

უძრავ ქონებაზე ლარში სავალდებულო ფასდადების ამოქმედების შემდეგ ქონებაზე ფასების გაძვირებას პროგნოზირებს Ternes Real Estate Fund-ის დამფუძნებელი საშა ტერნესი. ამასთან, როგორც ტერნესი რადიო „კომერსანტთან“ საუბრისას აცხადებს, ნებისმიერი ნაბიჯი დედოლარიზაციის მიმართულებით მისასალმებელია, რადგან ეს მომგებიანია ეკონომიკისთვის და მომხმარებლის რისკებს შეამცირებს.



როგორც ცნობილია, დედოლარიზაციის სამთავრობო პროგრამის ფარგლებში, დეველოპერულ კომპანიებს ახალი ვალდებულება უჩნდებათ, მათ უძრავი ქონების ფასდადება ლარში უნდა დაიწყონ. ეს ცვლილება ძალაში 2017 წლის ივლისიდან შედის.

– დღეს არსებული რეალობაა, რომ უცხოური ვალუტა თამაშობს მნიშვნელოვან როლს უძრავი ქონების სექტორში. უმრავლესობა სამშენებლო მასალების იმპორტირებულია, იმიტომ, რომ ასეთი წარმოება საქართველოში არ არის. ამას გარდა, გარკვეული მასალების, (როგორიც არის არმატურა) რომლის წარმოებაც საქართველოშია, ფასდადება ლარშია, რადგან ასეთია საერთაშორისო სტანდარტი. საბალანსო უწყისები უძრავი ქონების კომპანიებს ძირითადად უცხოურ ვალუტაში აქვთ იმიტომ, რომ ვერც ერთი ქართული ბანკი ვერ უზრუნველყოფს მსხვილ სესხებს ლარში. აქედან გამომდინარე, უძრავი ქონების ლარში ფასდადებისას ვალუტის რისკი კომპანიებზე გადავა, – აცხადებს ტერნესი

მისივე განცხადებით, ლარში ფასდადების შემდეგ უძრავი ქონების ფასები გაიზრდება, თუ კომპანიები ვალუტის რისკს აიღებენ საკუთარ თავზე, რადგან მოუწევთ გარკვეული რეზერვების გათვალისწინება გათვლებში. ამასთან, მისივე თქმით, უფრო მაღალი ფასები ხელს შეუშლის კონკურენტუნარიანობას. ამიტომ საშა ტერნესი მიიჩნევს, რომ კომპანიები ამ საკითხს კრეატიულ გადაწყვეტილებას მოუფიქრებენ. შესაძლოა, სარეკლამო ფასები ხშირად შეიცვალოს ან განცხადებები უფრო ზოგადი გახდეს. ტერნესი დასძენს, რომ დროთა განმავლობაში საკანონმდებლო ცვლილებები ფასების ზრდას არ გამოიწვევს.

რაც შეეხება გალარების პროგრამას, Ternes Real Estate Fund-ის დამფუძნებელი, „პროკრედიტ ბანკის“ ყოფილი გენერალური დირექტორი განმარტავს, რომ ეს იყო პირველი პოლიტიკური სიგნალი და მხარდაჭერის შეთავაზება, თუმცა მომხმარებელი, საბოლოო ჯამში, თავად იღებს გადაწყვეტილებას. „ჩემი აზრით, მთავარი პრობლემა კვლავ რჩება – როგორ უზრუნველვყოთ საბანკო სექტორი გრძელვადიანი ლარის რესურსით, იმისათვის, რომ მხარი დავუჭიროთ ლარით დაკრედიტებას, ამიტომ ლარიზაციის პროცესი უნდა დაიწყოს დეპოზიტების ნაწილიდან, – დასძენს ტერნესი.

# კლინიკა „ლანცეტის“ დამფუძნებელი ფარმან ჯეირანლი პრეზიდენტს წერილით მიმართავს

კლინიკა „ლანცეტის“ დამფუძნებელი ფარმან ჯეირანლი თავს უკანონო პატიმრად მიიჩნევს და საქართველოს პრეზიდენტს მისი საქმის პირად კონტროლზე აყვანას სთხოვს.

საქართველოს პრეზიდენტისთვის მიწერილ წერილში, რომელიც „ლანცეტის“ დამფუძნებელმა „ინტერპრესნიუსს“ ციხიდან გამოუგზავნა, ჯეირანლი გამოთქვამს ეჭვს, რომ მისი დაკავება დაკავშირებულია აზერბაიჯანის პოლიტიკურ დაკვეთასთან.

„ინტერპრესნიუსი“ აღნიშნულ წერილს უცვლელად გთავაზობთ:

– ბატონო პრეზიდენტო! წინასწარ მინდა ბოდიში მოგიხადოთ იმ დისკომფორტისთვის, რასაც მიიღებთ ხელნაწერი წერილის წაკითხვით. ეს გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ მე ვიმყოფები ციხეში. მე დავიბადე და გავიზარდე საქართველოში, კერძოდ, საგარეჯოს რაიონის სოფელ იორმუღანლოში, უმაღლესი სამედიცინო განათლება მივიღე ქ. ბაქოში. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ 12 წელი ვმუშაობდი ქ. მოსკოვში, ი.მ. სეჩენოვის სახ. მოსკოვის სამედიცინო აკადემიაში. 32 წლის ასაკში გავხდი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი (პროფესორი). 1993 წელს დავინიშნე აზერბაიჯანის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ მეცნიერების დარგში, შემდეგ ვხელმძღვანელობდი მ. თოფჩიბაშიევის სახ. ქირურგიის ინსტიტუტს და ამავდროულად გახლდით აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავარი ქირურგი.

ერთ-ერთი კერძო პირველი კლინიკა აზერბაიჯანში გავხსენი მე, სახელწოდებით „ლანცეტი“. მთელი ჩემი სამედიცინო მოღვაწეობის პერიოდში მქონდა სურვილი ჩემს სამშობლოში, საქართველოში გამეხსნა ულტრათანამედროვე რეგიონული მნიშვნელობის მრავალპროფილიანი სამედიცინო კლინიკა. 2014 წელს ჩემი სანუკვარი მიზნის განხორციელება შევძელი 30.000.000 (ოცდაათი მილიონი) დოლარის მოცულობის ინვესტიციის ჩადებით და დავაფუძნე კლინიკა „ლანცეტი“. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მოცულობის ინვესტიცია საქართველოში სამედიცინო სფეროში დღემდე არ განხორციელებულა. დღისათვის კლინიკა „ლანცეტი“ წარმოადგენს ყველაზე თანამედროვე სამედიცინო დაწესებულებას, რომელიც პასუხობს ნატო-ს სტანდარტებს. საქართველოში ნატო-ს მიერ განხორციელებული წვრთნები არის დაკავშირებული კლინიკა „ლანცეტთან“, ეს უკანასკნელი წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიულ ობიექტს. ახლო მომავალში იგეგმება ქართულ-ინგლისური სამედიცინო უნივერსიტეტის დაარსება. მე 7 წელია, რაც ვარ საქართველოს მოქალაქე და ასევე ვმონაწილეობდი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში. 2017 წლის 21 მაისიდან ვარ დაკავებული ჩემთვის გაურკვეველი ბუნდოვანი ბრალდებებით, რომელთანაც მე არანაირი კავშირი არ მაქვს.



ბატონო პრეზიდენტო! მე თქვენ მოგმართავთ არა მარტო როგორც საქართველოს პრეზიდენტს, არამედ როგორც მეცნიერს, პროფესორს, რომელიც ჩემს პრობლემებს ყველაზე მეტად გულთან მიიტანს. ბოლო პერიოდში განვითარებული მოვლენები მაძლევს საფუძველს, რომ ვიფიქრო, ჩემი დაკავება დაკავშირებულია პოლიტიკურ დაკვეთასთან აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან. ამის ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ აზერბაიჯანელი ოპოზიციურად განწყობილი წევრები უნდობლობას უცხადებენ ადგილობრივ სამედიცინო დაწესებულებებს და სხვადასხვა სამედიცინო გამოკვლევებზე და სამკურნალოდ მოგვმართავენ ჩვენს კლინიკა „ლანცეტს“. ზემოაღნიშნული ფაქტებით ირღვევა საქართველოში კერძო საკუთრების უფლება, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს ქვეყნის საერთაშორისო საინვესტიციო იმიჯზე, ამავდროულად უარყოფითად მოქმედებს ქართული სამართლებრივი სახელმწიფოს მშენებლობის და მისი ევროპულ ოჯახში ინტეგრაციის საკითხზე.

მე გახლავარ შპს „ლანცეტის“ დამფუძნებელი და დირექტორი. ჩვენს დაქვემდებარებაში შემოდის: 1) კლინიკა „ლანცეტი“, 2) სასტუმრო, 3) ჟანგბადის მწარმოებელი საამქრო, 4) სამრეცხაო, 5) საკვები ობიექტი. რაც შეეხება სამედიცინო კლინიკას, მას ცალკე ჰყავს გენერალური დირექტორი, ფინანსური დირექტორი, მთავარი ექიმი, იურიდიული სამსახური, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სამედიცინო კლინიკა „ლანცეტის“ გამართულ მუშაობაზე. მათთან ერთად კლინიკაში დასაქმებულია 600 (ექვსასი) თანამშრომელი, ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენს კლინიკას ნდობას უცხადებენ და სამედიცინო დახმარებას ღებულობენ საქართველოში მცხოვრები აზერბაიჯანელი მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან თავს ვთვლი უკანონო პატიმრად და დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი თანამშრომლებიც არიან უდანაშაულოები. გთხოვთ დაინტერესდეთ და პირად კონტროლზე აიყვანოთ ჩემი საქმე. საქმის ირგვლივ დეტალური ინფორმაციის მისაღებად თქვენს დაქვემდებარებაში არსებული შესაბამისი სამსახური დაუკავშირდეს ჩემს ადვოკატს, ბატონ გელა ნიკოლაიშვილს, – ნათქვამია წერილში.

## დაპირისპირება და თვითმკვლელობის მუქარა – ბერი ნიკოლოზის მრევლი სახლის მეპატრონეს დაუპირისპირდა

21 ივნისს, გვიან ღამით, თბილისში, გამრეკელის ქუჩაზე, პოლიციის რამდენიმე ეკიპაჟი იყო მობილიზებული, მიზეზი ე.წ. სასულიერო პირის მრევლსა და სახლის მეპატრონეს შორის დაწყებული დაპირისპირება გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, ნიკოლოზ მაქარაშვილს გამრეკელის ქუჩაზე დროებით საცხოვრებელ ბინაში მეპატრონის მოთხოვნის საფუძველზე არ უშვებდნენ, მრევლი სახლში შესვლას ძალის გამოყენებით ცდილობდა.



საბოლოოდ სიტუაცია გამთენიისას განიმუხტა, ადგილზე მისული იყო „ქართული ოცნების“ წევრი ლევან გოგიჩაიშვილი, მან და მრევლის რამდენიმე წარმომადგენელმა სახლის მეპატრონესთან მოილაპარაკეს, რის შემდეგაც ხელაძეების ოჯახი ნიკოლოზ მაქარაშვილის სახლში შეშვებას დათანხმდა.

გავრცელებული ინფორმაციით, ხელაძეების ოჯახის მხრიდან ნიკოლოზ მაქარაშვილის სახლიდან გასახლების მიზეზი ე.წ სასულიერო პირის მხრიდან წამოსული მუქარა და სიტყვიერი შეურაცხყოფა გახდა. აღსანიშნავია ისიც, რომ მრევლის ერთ-ერთი წევრი სახლის სახურავზე ავიდა და იმ შემთხვევაში, თუ მაქარაშვილს სახლში არ შეუშვებდნენ, თვითმკვლელობით იმუქრებოდა.

საპატრიარქოს განცხადებით, ბერ ნიკოლოზს თითქმის 20 წელია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული გარკვეული მიზეზების გამო, შეჩერებული აქვს მღვდელმსახურება.

## მალხაზ ველიჯანაშვილი: „ირაკლი ფირცხალავას და გიორგი ცაავის საქმეს ევროპულ სასამართლოში წავიღებთ“

ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს განაჩენი უზენაეს სასამართლოში გასაჩივრდება, – ამის შესახებ მსჯავრდებულთა ადვოკატმა მალხაზ ველიჯანაშვილმა პროცესის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.




როგორც ველიჯანაშვილმა აღნიშნა, დაცვის მხარეს არ აქვს არც უზენაესი სასამართლოს ობიექტურობის იმედი და აცხადებს, რომ საბოლოოდ, საქმეს ევროპულ სასამართლომდე მიიტანს.

– განაჩენი არის უსამართლო და უკანონო იმის გათვალისწინებით, რომ საქმეში მტკიცებულებები არ არსებობს. შეუძლებელია დასაბუთებაზე ვისაუბროთ. რა თქმა უნდა, განაჩენი გასაჩივრდება, თუმცა აზრს კარგავს ყველაფერი. სასამართლოშივე დადასტურდა ყველა ბრალდებულის უდანაშაულობა. ფაქტია, რომ სასამართლო ზეგავლენის ქვეშაა და ამან განაპირობა უკანონო განაჩენი. ახლა ყველაზე დიდი მოლოდინი ევროპული სასამართლოსი გვაქვს, სადაც საქმეს აუცილებლად წავიღებთ“, – განაცხადა მალხაზ ველიჯანაშვილმა.

სააპელაციო სასამართლომ ე.წ. კორტების სპეცოპერაციის საქმეზე საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა ყველა ნაწილში. შესაბამისად, ირაკლი ფირცხალავა და გიორგი ცააძე პატიმრობაში დარჩნენ.

## ე.წ. კორტების საქმეზე დაკავებულების განაჩენი სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა

ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას სტრასბურის სასამართლოში გეგმავენ.

ე.წ. კორტების საქმე – თბილისის სააპელაციო სასამართლომ გიორგი ცააძისა და ირაკლი ფირცხალავას 12-წლიანი პატიმრობის განაჩენი ძალაში დატოვა.



განხილვა წელიწადნახევარი გრძელდებოდა, სასამართლომ განაჩენი დღეს გამოაცხადა.

სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარემ სწორედ განაჩენის გამამტყუნებელი ნაწილი გაასაჩივრა. პროკურატურა სააპელაციო სასამართლოში სასჯელის დამძიმებას ითხოვდა.

ორივე ბრალდებულს 2006 წელს, თბილისში, კორტების მიმდებარედ, ზურაბ ვაზაგაშვილისა და ალექსანდრე ხუბულოვის განზრახ მკვლელობა ედებათ ბრალად.

ადვოკატები განაჩენის გასაჩივრებას სტრასბურის სასამართლოში გეგმავენ.

## პედაგოგი სოფლის გამგებელს ცემაში ადანაშაულებს



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ბახვში მცხოვრები პედაგოგი ავთანდილ გოგსაძე აცხადებს, რომ მას მისი სოფლის გამგებელმა, გოჩა შარაშენიძემ სცემა.

პედაგოგის თქმით, მას რამდენჯერმე დაარტყეს ხელისუფლების წარმომადგენლებმა, შემდეგ კი დასცინეს.

გოგსაძის სიტყვებით, კონფლიქტი მას შემდეგ მოხდა, როცა მან, მისი საცხოვრებელი სახლის ეზოს გასწვრივ მშენებარე გზის დასრულების შემდეგ, სანიაღვრე არხის მშენებლობის დასრულების ადგილი გააპროტესტა.

გოგსაძე მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში მთელი წყლის მარაგი, რაც ამ სანიაღვრე არხში მოხვდება, მის საცხოვრებელ ეზოში ჩავა და მწყობრიდან როგორც მიწას, ასევე ნარგავებს გამოიყვანს.

პედაგოგმა ხელისუფლებას შესთავაზა არხის მშენებლობის რამდენიმე მეტრით იქეთ დასრულება, თუმცა ამაზე ხელისუფლება არ დათანხმდა.

სოფლის გამგებელი გოჩა შარაშენიძე ცემას კატეგორიულად გამორიცხავს, აცხადებს, რომ ავთანდილ გოგსაძე რთული, კონფლიქტური პიროვნებაა, მან შეცდომაში შეიყვანა მშენებლები, რის გამოც ჭიანურდება სოფლისთვის მნიშვნელოვანი პროექტის დასრულება. სიტყვიერი შელაპარაკების დროს კი აუგად მოიხსენია არჩეული თანამდებობის პირები, ჩაეჭიდა მას მხარში და „იძულებული გავხდი, მისთვის ხელი მეკრა, ეს იყო და ეს“ – ამბობს გამგებელი.

მომხდართან დაკავშირებით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე 126-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც ცემას ან ძალადობას გულისხმობს.

## ხულოში მეხის ჩამოვარდნას 22 წლის ბიჭი ემსხვერპლა

ხულოში, მთა ნაკაფში, მეხის ჩამოვარდნას 22 წლის ბიჭის სიცოცხლე ემსხვერპლა.

როგორც „ნიუპოსტს“ შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სსკ-ს 115 მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

## სტამბოლში საქართველოს მოქალაქე გარდაცვლილი იპოვეს

სტამბოლში საქართველოს მოქალაქე, ახალგაზრდა მამაკაცი გარდაცვლილი იპოვეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სტამბოლში საქართველოს საკონსულოში განუცხადეს, შესაბამისი ინფორმაცია საკონსულოში უკვე შევიდა.

რა გახდა ახალგაზრდა მამაკაცის გარდაცვალების მიზეზი, ჯერჯერობით უცნობია. საკონსულოში დეტალების დაზუსტებისგან თავს იკავებენ, სანამ ოჯახისგან ამის თანხმობა არ ექნებათ.

## სტამბოლში დაკავებულ საქართველოს ხუთ მოქალაქეს წინასწარი პატიმრობა შეეფარდა

სტამბოლში დაკავებულ საქართველოს ხუთ მოქალაქეს აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეეფარდა. ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ სტამბოლში საქართველოს გენერალური კონსულის თანაშემწემ, ლალი ნაკაიძემ განუცხადა. მისივე ინფორმაციით, დაკავებულებს სახაზინო ადვოკატი იცავს. საქმის არსებითი განმხილველი სასამართლო პროცესი ჯერ ჩანიშნული არ არის.



სტამბოლის პოლიციამ საქართველოს ხუთი მოქალაქე გუშინ დააკავა. როგორც საკონსულოში განმარტავენ, დაკავებულებს ჯგუფურ ყაჩაღობაში ედებათ ბრალი.

როგორც თურქული მედია წერს, ქართველებისგან შემდგარი ჯგუფი სტამბოლში ბოლო ერთი წლის განმავლობაში მოქმედებდა. თურქულ მედიაში ასევე მოყვანილია დაკავებული ქართველების ინიციალები: მიხეილ ჯ. (31 წლის), მამუკა ჯ. (39 წლის), ტარიელ ს. (46 წლის), ემზარ რ. (54 წლის), მალხაზ გ. (30 წლის).

აღსანიშნავია, რომ 16 ივნისს თურქმა სამართალდამცველებმა ხუთკაციანი ჯგუფი ანტალიაშიც დააკავეს, რომლებსაც ბრალად მანქანებისა და სახლების ძარცვა ედებათ.

# ევროპული არმიის შექმნა დაიწყო?

## გერმანიამ და ჰოლანდიამ ზოგიერთი ქვედანაყოფი უკვე გააერთიანეს

მარიამ მჭედლიშვილი

გერმანიის თავდაცვის ეროვნული კომისარი ჰანს-პეტერ ბარტელსი მოუწოდებს ნატოს ევროპელ წევრებს, გააერთიანონ შეიარაღებული ძალები და შექმნან ევროკავშირის არმია.

– ევროპის არმია, ბოლოს და ბოლოს, შეიქმნება, – აცხადებს სამხედრო მაღალჩინოსანი.

„ტელეგრაფის“ შეფასებით, მისი მოწოდება იმის მაჩვენებელია, რომ ევროკავშირის დანარჩენი წევრები აგრძელებენ ინტეგრაციას თავდაცვის სფეროში. ბრიტანეთის გარდა, ევროპის ჯარის შექმნას ყველა მხარს უჭერდა.

– ამჟამად ჩვენ დეზორგანიზებულები და ტექნიკურად დაყოფილები ვართ, ვახდენთ სტრუქტურების დუბლირებას. აღარ გვინდა ვიაროთ ცალ-ცალკე, ეროვნული გზით. ეს არ გვინდა არც გერმანიაში, არც ნიდერლანდში, არც ჩეხეთსა და იტალიაში, – აღნიშნა ბარტელსმა.

მისი ინფორმაციით, გერმანიამ და ნიდერლანდმა უკვე გააერთიანეს ზოგიერთი ქვედანაყოფი. დაინტერესებას იჩენენ ჩეხეთი და რუმინეთი.

ევროკავშირის სამხედრო ძალის შექმნაზე მას შემდეგ დაიწყო საუბარი, როცა აშშ-ის პრეზიდენტმა ნატოს მოძველებული ორგანიზაცია უწოდა. მოგვიანებით დონალდ ტრამპმა აღიარა, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის საქმიანობის შეფასებისას შეცდა, თუმცა ამას ევროკავშირის არმიის შექმნის გეგმები არ შეუცვლია.



ევროკავშირის წინაშე მდგარ ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გერმანიის კანცლერმა ევროპული თავდაცვის სისტემა დაასახელა. ნატოს სამიტისა და დიდი შვიდეულის შეხვედრის შემდეგ ევროპელი მოკავშირეები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ევროპას დონალდ ტრამპისა და მისი ადმინისტრაციის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ევროპელი ლიდერები საგონებელში ჩააგდო იმან, რომ ევროპაში ტურნეს დროს ტრამპს ერთხელაც არ უხსენებია ნატოს წესდების მეხუთე მუხლი, რომელიც კოლექტიურ თავდაცვას გულისხმობს. ევროპელები ასევე გააღიზიანა აშშ-ის პრეზიდენტის განცხადებებმა მათი მხრიდან თავდაცვის სფეროს არასაკმარისად დაფინანსების შესახებ.

### ევროკავშირი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ქვეყნების მიმართ პოლიტიკას ცვლის

ევროკავშირში სხვა სახის განახლებაზეც საუბრობენ. უშედეგოდ ჩაითვალა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა და გადაწყდა, რომ ევროკავშირმა ამ პროგრამაში შემავალ ქვეყნებთან სხვანაირად უნდა იმუშაოს. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ წევრია საქართველო.

„თაგესშპიგელის“ სიტყვებით, 2008 წელს, როცა დაიწყო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამა, მასში გაერთიანებული იყვნენ საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი, მოლდავეთი, უკრაინა და ბელორუსია. იმ დროს ტრანსფორმაციის დიდი იმედი იყო. იმ დროიდან მოყოლებული დღემდე, ევროპელმა პარტნიორებმა ვერ მოახერხეს, პოზიტიურად ემოქმედათ ამ ქვეყნებზე მშვიდობის, კეთილდღეობისა და სტაბილურობის მხრივ.

ევროკავშირი „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ პროგრამის წარუმატებლობის მიზეზებს ექსპერტებსა და მეცნიერებთან ერთად იკვლევს.

სპეციალისტებმა უკვე დაასკვნეს, რომ პროგრამის წარუმატებლობის ერთ-ერთი მიზეზი აღმოსავლელი პარტნიორი ქვეყნების რუსეთთან სიახლოვეა. ეს სახელმწიფოები ხშირ შემთხვევაში რუსეთზე ეკონომიკურად არიან დამოკიდებული. გარდა ამისა, რამდენიმე მათგანი მჭიდროდ თანამშრომლობს თურქეთთან ან აშშ-სთან. ამ სახელმწიფოებს, უმეტესად, სურთ კარგი ურთიერთობა როგორც ევროკავშირთან, ისე რუსეთთან.

ამიტომ, ევროკავშირმა უნდა შეცვალოს მიდგომა და ამ პოსტსაბჭოთა ქვეყნების პერსპექტივები ცალ-ცალკე განიხილოს.

# პეტრო პოროშენკო დონალდ ტრამპს შეხვდა

ვაშინგტონში უკრაინისა და აშშ-ის პრეზიდენტების შეხვედრა შედგა. საუბარს ვიცე-პრეზიდენტი მაიკ პენსი და ტრამპის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების დარგში მაკმასტერი დაესწრნენ.

პრესკონფერენციაზე ტრამპმა შეხვედრის შედეგებით კმაყოფილება გამოთქვა. აშშ-ის ლიდერმა ხაზი გაუსვა, რომ აშშ უკრაინულ საქმეებში კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთვება. მან არ დააკონკრეტა, თუ რა სახის აქტიურობას გულისხმობდა.

– აშშ-უკრაინის ურთიერთობებში პროგრესი შეინიშნება და ეს ტენდენცია გაძლიერდება! – თქვა ტრამპმა.

პოროშენკომ თავის ამერიკელ კოლეგას მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. უკრაინის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ მინსკის სამშვიდობო პროცესი გაგრძელდება, კერძოდ, რუსეთმა უნდა შეასრულოს დაპირება და რეგიონიდან ჯარი გაიყვანოს, ხოლო საზღვარზე კონტროლი უკრაინას გადასცეს. დონბასში რაიმე არჩევნების ჩატარებაზე საუბარი მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი.



პოროშენკომ თქვა, რომ ამ საკითხში ტრამპთან სრული ურთიერთგაგებაა.

– ჩვენ შევთანხმდით, რომ მინსკის ფორმატის სხვა ფორმატით ჩანაცვლება ამ ეტაპზე არ არის აუცილებელი. მთავარია, მინსკის სამშვიდობო პროცესი ლოგიკურ დასასრულამდე მივიდეს, – ამბობს პოროშენკო.

აშშ-უკრაინის პრეზიდენტების შეხვედრის შემდეგ თეთრი სახლის წარმომადგენელმა შონ სპეისერმა შემდეგი განცხადება გააკეთა:

– რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები მანამ გაგრძელდება, სანამ უკრაინის მიმართ აგრესია არ შეწყდება, კერძოდ, რუსები არ გაიყვანენ ჯარებს დონბასიდან და ყირიმს უკრაინას არ დაუბრუნებენ.

## სპეცპროკურორი მიულერი სენატორებს შეხვდება



აშშ-ის არჩევნებში რუსების ჩარევასთან დაკავშირებით გამოძიება გრძელდება. სპეცპროკურორი რობერტ მიულერი სენატორებთან შეხვედრას აპირებს.

შეხვედრას როგორც რესპუბლიკელი, ისე დემოკრატი სენატორებიც დაესწრებიან.

გამოძიება გარკვეული ძალების ინტერესებს ლახავს. შედეგად შესაძლოა კონფლიქტებიც წარმოიქმნას. ამ შეხვედრის მიზანი კონფლიქტების მაქსიმალურად შემცირებაა.

## სირია: ამერიკელებმა ირანული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდეს



სირიაში ბრძოლები გრძელდება. დიქტატორ ასადის მომხრე შეიარაღებული ძალები ზომიერი პარტიზანების პოზიციებზე დარტყმებს განაგრძობენ.

მწვავე შეტაკებები გაიმართა ქალაქ ტანფასთან, სადაც პარტიზანთა დიდი ძალებია თავმოყრილი. ასადელები ცეცხლის კორექტირებას ირანული წარმოების უპილოტო თვითმფრინავის მეშვეობით ცდილობდნენ.

ამერიკელებმა ირანული დრონი ჩამოაგდეს.

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მატისმა განაცხადა, რომ ჩამოგდებული იქნება ნებისმიერი საფრენი აპარატი, რომელიც ამერიკელი ან საერთაშორისო ანტიტერორისტული კოალიციის ჯარისკაცების სიცოცხლეს საფრთხეს შეუქმნის.

რუსეთის თავდაცვის სამინისტრო თავის მხრივ იმუქრება, რომ თუკი ამერიკელებმა სირიისა და ირანის თვითმფრინავების ჩამოგდება არ შეწყვიტეს, საპასუხო ცეცხლს გახსნიან.

## ბრიუსელი: ნეიტრალიზებულია ტერორისტი-შაჰიდი



ბრიუსელის ვაგზალზე სამხედრო პატრულმა საეჭვო პირი აღმოაჩინა, რომელსაც შაჰიდის ქამარი ეკეთა. თვითმკვლელმა ტერორისტმა ასაფეთქებელი მოწყობილობის მოქმედებაში მოყვანა ვერ მოასწრო, პატრულმა მისი მიმართულებით ცეცხლი გახსნა.

ვაგზლიდან მგზავრების ევაკუაცია სწრაფად და ოპერატიულად განხორციელდა. ბელგიის პროკურატურამ მომხდარს ტერაქტის კვალიფიკაცია მისცა. მიმდინარეობს გამოძიება. ბელგიის პრემიერმა მიშელმა სასწრაფოდ უშიშროების საბჭო მოიწვია.

– ბელგიაში ახალი ტერაქტების ტალღაა მოსალოდნელი! უნდა მოვიფიქროთ, როგორ ავიცილოთ ეს თავიდან, – განაცხადა პრემიერმა.

## ნატოს გამანადგურებელი შოიგუს თვითმფრინავს მიუახლოვდა

ნატოს გამანადგურებელი ფ-16 შეეცადა რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი შოიგუს თვითმფრინავს მიახლოებოდა.

რუსულმა გამანადგურებელმა სუ-27-მა ნატოს გამანადგურებლის ეს მცდელობა აღკვეთა.



შემთხვევა ბალტიის ზღვის ნეიტრალური წყლების თავზე მოხდა, როდესაც რუსეთის თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავი კალინინგრადიდან ბრუნდებოდა.

სერგეი შოიგუს თვითმფრინავს ესკორტის სახით საზღვაო ავიაციის სუ-27-ის გამანადგურებლები მიყვებოდა. ნატოს ერთ-ერთი გამანადგურებელი შეეცადა რუსეთის თავდაცვის მინისტრის თვითმფრინავთან მიახლოებას, თუმცა მათ შორის რუსული გამანადგურებელი გაჩნდა, რის შემდეგაც ფ-16-მა უკან დაიხია.

მოამზადა ნიკა თევზაძემ


# განცხადებები

**გთავაზობთ სამსახურს**

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსის მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით.აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი..

● ალკოჰოლიზმი, „პახმელია“, „ზაპოი“, ალკოჰოლიზმისაგან გამოწვეული ნევროზი, უძილობა, აგრესიულობა, ღვიძლის პრობლემების მოწესრიგება – მცენარეული, შედეგიანი, მეტეხისა და ბეთლემის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები შეგიძლიათ შეურიოთ ფარულად საკვებში.სიგარეტის მიტოვება მცენარეული, უსაფრთხო გარანტირებული პრეპარატით. უკუჩვენება გამორიცხულია. ტელ: 599-45-88-66; 555-45-13-45.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემები – გასტრიტი, კუჭის წვენის დაბალი და მაღალი მჟავიანობა, კუჭშეკრულობა, კუჭაშლილობა და ა.შ. ნერვული სისტემის, სახსრების, პოტენციის და კანის სხვადასხვა პრობლემების მოწესრიგება. ბეთლემისა და მეტეხის ტაძარში ნაკურთხი პრეპარატებით. პრეპარატები უსაფრთხოა. ტელ:558-34-36-24.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევის დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# სამტრედიამ ბრძოლაში მოიგო, ლოკომოტივმა ჩიხურა დაჩაგრა

**სამტრედია-დილა 3:2**

**სამტრედია. ეროსი მანჯგალაძე**

0:1 დერეტი (10), 1:1 დათუნაიშვილი (24), 1:2 დერეტი (51), 2:2 რაჟამაშვილი (81), 3:2 სანდოხაძე (87)

**სამტრედია:** მიგინეიშვილი, მთივლიშვილი, სანდოხაძე, გოგიაშვილი, მჭედლიშვილი, გ.მანჯგალაძე (კასრაძე 90), მარკოზაშვილი (ჯიქია 61), რაჟამაშვილი, დათუნაიშვილი, სამუშია (ბელოვი 90), ბერიაშვილი

**დილა:** მუჯირიშვილი, მაჩაიძე, პაპავა, რაზმაძე, რიბეირო (კირკიტაძე 82), წიქარიძე, გაგოშიძე, ქარქუზაშვილი, ნუბიო, ძარია (ტარავალიე 90), დერეტი (ნონიკაშვილი 89)

**გაძევება:** პაპავა (84)

საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის, ეროვნული ლიგის მეორე წრის უკანასკნელ ტურში სამტრედიამ „ეროსი მანჯგალაძეზე“ დაძაბულ და საინტერესო ბრძოლაში 3:2 დაამარცხა გორის დილა და სამეულში ადგილი გაიმყარა.

ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩამდე სამტრედიამ ბოლო მატჩი გამართა. შეგახსენებთ, 11 ივლისს ჩემპიონთა ლიგის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპზე სამტრედია ბაქოში ყარაბახს ეწვევა.

სამტრედიამ კარგი გამოცდა გაიარა – ორჯერ აგებდნენ იმერლები მატჩს, მაგრამ ბოლომდე იბრძოლეს და სასურველი 3 ქულა მაინც აიღეს.

მატჩი გორელთა უპირატესობით დაიწყო და უკვე მე-10 წუთზე დაწინაურდნენ, რაც სამტრედიელთა დაცვის შეცდომის შედეგი იყო: ძარიას ფლანგური ჩაწოდების შემდეგ საჯარიმოში მყოფმა ნუბიომ სახიფათოდ დაარტყა მიგინეიშვილის კარისკენ, რომელმაც ბურთის მოგერიება მოახერხა, თუმცა დასწრებაზე ჟან დერეტიმ ზუსტად ითამაშა და ანგარიში გახსნა – 0:1.

24-ე წუთზე მანჯგალაძის შესრულებულ სტანდარტს გოგიაშვილი გამოეხმაურა, რომლის შემდეგ მასპინძელთა კაპიტანმა გიორგი დათუნაიშვილმა დასწრებაზე ყველას აჯობა და ახლო მანძილიდან გაიტანა – 1:1.

დერეტიმ მეორედაც დააწინაურა გორელები და ისევ შეცდა სამტრედიელთა დაცვა: ბრაზილიელი ფორვარდი ამჯერად გაგოშიძის პასის შემდეგ დარჩა მეკარესთან პირისპირ – 1:2.

სამტრედიამ მატჩის ბოლოს ჯერ გაათანაბრა, შემდეგ კი გამარჯვების გოლიც გაიტანა: 81-ე წუთზე დათუნაიშვილის პასის შემდეგ უკვე დილას ფეხბურთელები შეცდნენ, ბურთი ვერ დაამუშავეს, რაჟამაშვილი მეკარესთან პირისპირ დარჩა და – 2:2.

84-ე წუთზე დავით ხარიტონაშვილმა ძალიან უცნაური გადაწყვეტილება მიიღო, ხელით თამაშის გამო გიორგი პაპავას წითელი ბარათი უჩვენა. მართალია, პაპავამ მასპინძელთა სწრაფი შეტევა ჩაშალა, მაგრამ ჩვენი აზრით, მსაჯი შეცდა ასეთი მკაცრი სასჯელის გამოტანისას...

87-ე წუთზე რიცხვობრივ უპირატესობაში მყოფმა სამტრედიამ კი 3 ქულა მოიპოვა – რაჟამაშვილმა ბურთი საჯარიმოში ჩააწოდა, ბურთისთვის ბრძოლა სანდოხაძემ მოიგო და ეფექტური გოლი გაიტანა – 3:2.



**ჩიხურა-ლოკომოტივი 0:3**

**ივანწმინდა. ცენტრალური**

0:1, 0:2 სიხარულიძე (18, 43), 0:3 რეხვიაშვილი (50)

**ჩიხურა:** ჰამზიჩი, თედ.გრიგალაშვილი, მირცხულავა, კორიფაძე, ტატანაშვილი, ჩიკვაიძე, დობროვოლსკი (განუგრავა 72), ჭელიძე, კაშია, გორგიაშვილი (ფონიავა 45), დეკანოიძე (სარდალიშვილი 45)

**ლოკომოტივი:** თევდორაძე, ჭანტურია, სიხარულიძე, დიასამიძე, კიკნაძე (ანდრონიკაშვილი 77), ხიდეშელი, არველაძე (ბუღრიძე 66), გაბაძე, რეხვიაშვილი, უბილავა, სამურკასოვი

თბილისის ლოკომოტივმა უშუალო კონკურენტი, საჩხერის ჩიხურა დაამარცხა – ივანწმინდაში გამართული მატჩი გიორგი დევდარიანის ფეხბურთელებმა 3:0 მოიგეს.

ორივე ტაიმმა ლოკომოტივის უპირატესობით ჩაიარა. დევდარიანის გუნდმა ანგარიში მე-18 წუთზე გახსნა. გიორგი გაბაძისა და ვატო არველაძის კომბინაცია, ირაკლი სიხარულიძემ გოლით დაასრულა.

სიხარულიძის გოლამდე, სამურკაოსვი შორიდან ცდილობდა გატანას – ლოკომოტივის ნახევარმცველის დარტყმა დინო ჰამზიჩმა მოიგერია.

43-ე წუთზე ლოკომოტივმა მეორე გოლი გაიტანა. სიხარულიძემ დუბლი შეასრულა და ეროვნულ ლიგაში 15 გოლი დაუგროვდა. ლოკოს ფორვარდმა, ამჯერადაც არველაძის პასით ისარგებლა.

50-ე წუთზე გიორგი რეხვიაშვილმა ჩიხურას კარი მესამედ აიღო. ლოკოს მცველმა, გეგა დიასამიძის კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ თავით გაიტანა.

74-ე წუთზე ირაკლი სიხარულიძეს ჰეთთრიკის შესრულება შეეძლო. შეცვლაზე შესულმა ირაკლი ბუღრიძემ, ლოკომოტივის მე-7 ნომერს კარგი პასი გაუკეთა, მაგრამ რკინიგზელთა შემტევის დარტყმა კარს მცირე მანძილით აცდა. 79-ე წუთზე მიხეილ სარდალიშვილი შორეული დარტყმით ცდილობდა გატანას, მაგრამ რევაზ თევდორაძემ ბურთი კუთხურზე მოიგერია.

კიკნაძის ნაცვლად, შეცვლაზე შესულმა ალექსანდრე ანდრონიკაშვილმა, რომელმაც ეროვნულ ლიგაში სადებიუტო მატჩი ჩაატარა, მე-80 წუთზე დიასამიძეს გაუკეთა კარგი პასი და მეკარესთან პირისპირ გაიყვანა. ლოკომოტივის მე-10 ნომერს ჰამზიჩმა აჯობა და მომენტი განმუხტა.

მეტი საინტერესო არაფერი შექმნილა და მატჩიც ასე მორჩა...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 17 | 13 | 1 | 3 | 40-10 | 40 |
| 2.ტორპედო | 17 | 11 | 4 | 2 | 26-10 | 37 |
| 3.სამტრედია | 18 | 10 | 3 | 5 | 25-20 | 33 |
| 4.ლოკომოტივი | 18 | 8 | 3 | 7 | 32-21 | 27 |
| 5.ჩიხურა | 18 | 8 | 2 | 8 | 23-27 | 26 |
| 6.დილა | 18 | 5 | 7 | 6 | 21-20 | 22 |
| 7.საბურთალო | 17 | 7 | 1 | 9 | 20-24 | 22 |
| 8.დინამო (ბთ) | 17 | 5 | 1 | 11 | 14-24 | 16 |
| 9.კოლხეთი | 17 | 4 | 4 | 9 | 17-29 | 16 |
| 10.შუქურა | 17 | 1 | 4 | 12 | 12-45 | 7 |

**ბომბარდირები:** ირაკლი სიხარულიძე (ლოკომოტივი) – 15 ბურთი; ბაჩანა არაბული (დინამო თბ), დიმიტრი ტატანაშვილი (ჩიხურა) – 11-11; მიკოლა კოვტალიუკი (კოლხეთი) – 10.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

სამართალი

## სასაზღვრო პოლიციამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით ერთი პირი დააკავა




შსს-ს სასაზღვრო პოლიციის ოპერატიულ-საგამოძიებო ბიუროსა და სახმელეთო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, №3 სამმართველოს (წითელი ხიდი) №9 სასაზღვრო სექტორის (ვახტანგისი) დასაცავ მონაკვეთზე, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქე, 1991 წელს დაბადებული ამირ ა. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ბრალდებით დააკავეს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ სამინისტროდან აცნობეს, გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, აზერბაიჯანის რესპუბლიკიდან საქართველოს მიმართულებით, უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

გამოძიება საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის 1-ელი ნაწილით).

## მთავარი პროკურატურა: „ქონების იძულებით ჩამორთმევის 64 ფაქტი გაიხსნა“



მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტის მიერ გაწეული მუშაობის შედეგად ქონების იძულებით ჩამორთმევის 64 ფაქტი გაიხსნა. ამის შესახებ ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

როგორც განცხადებაშია აღნიშნული, გამამტყუნებელი განაჩენის გადასინჯვის მოთხოვნით, სასამართლოში 24 მსჯავრდებულის მიმართ გაიგზავნა შუამდგომლობა.

– დაზარალებულად ცნობილია 136 მოქალაქე, რომელთაც დაუბრუნდათ და დაბრუნების პროცესშია 36 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების უძრავ-მოძრავი ქონება, მათ შორის 72 ავტომანქანა, საცხოვრებელი ბინები, საოფისე და კომერციული ფართები, ღვინის ქარხანა, საცურაო კომპლექსი, სასტუმრო კომპლექსი, მიწის ნაკვეთები და ა.შ., – ნათქვამია მთავარი პროკურატურის განცხადებაში.

## გიორგი პაპუნაშვილი სარაგოსას 5 ივლისს შეუერთდება



თბილისის დინამოს ყოფილი ფორვარდი გიორგი პაპუნაშვილი ესპანურ სარაგოსას 5 ივლისს შეუერთდება. პაპუნაშვილის ტრანსფერი ოფიციალურად დადასტურებულია და ახალგაზრდა ფორვარდმა სარაგოსასთან 4-წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

სარაგოსამ პაპუნაშვილის ტრანსფერში 350 ათასი ევრო გადაიხადა, თუმცა თანხა შესაძლოა უფრო მეტიც იყოს. პაპუნაშვილი აქვს უცხოეთში თამაშის გამოცდილება, რადგან ის ერთი წლის მანძილზე ბრემენის ვერდერში ირიცხებოდა, თუმცა იქ მან თავის დამკვიდრება ვერ შეძლო და საბოლოოდ თბილისის დინამოში დაბრუნდა.

## ბარსელონა პაულინიოს ყიდვას აპირებს



ბარსელონა ბრაზილიელი ნახევარმცველით პაულინიოთი დაინტერესდა. პაულინიო ამჟამად ჩინეთში თამაშობს და ერთი პერიოდი ის ბრაზილიური ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლებოდა. ტოტენჰემში წარუმატებელი სეზონის შემდეგ პაულინიო 2015 წელს ჩინეთში გადაბარგდა, სადაც ის დღემდე თამაშობს.

ბარსელონა უკვე დაუკავშირდა ფეხბურთელის აგენტს და მოლაპარაკებები მიმდინარეობს. თვითონ პაულინიომ განაცხადა, რომ მას არ სურს ჩინეთიდან წასვლა, თუმცა ბარსელონას შეთავაზებამ შესაძლოა მას აზრი შეაცვლევინოს.

პაულინიოს შეძენა ბაიერნსაც სურს.

## რობერტ ლევანდოვსკი შესაძლოა ინგლისში აღმოჩნდეს



მიუნხენის ბაიერნის პოლონელი ფორვარდი რობერტ ლევანდოვსკი შესაძლოა ინგლისში აღმოჩნდეს. ლევანდოვსკის შეძენა რამდენიმე ინგლისურ გრანდს სურს, ყველაზე მეტად კი ჩელსი და მანჩესტერ იუნაიტედი აქტიურობენ, რომლებიც მზად არიან, რომ ამ ტრანსფერში სოლიდური თანხა გადაიხადონ.

ლევანდოვსკიმ ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ არ გამორიცხავს ბაიერნის დატოვებას, რადგან მას სხვა ჩემპიონატში სურს ძალების გამოცდა.

ლევანდოვსკი ბაიერნში 2014 წელს გადავიდა, მანამდე კი 4 წლის მანძილზე დორტმუნდის ბორუსიას ღირსებას იცავდა, სადაც ის გუნდის მთავარი ბომბარდირი იყო.



## ლოკომოტივი საბა კვერკველიას არ თმობს

მოსკოვის ლოკომოტივს ქართველი ცენტრალური მცველის საბა კვერკველიას გამოსყიდვა სურს. კვერკველია ყაზანის რუბინს ეკუთვნის და ლოკომოტივში 6-თვიანი იჯარის შემდეგ ის რუბინში დაბრუნდა, თუმცა ლოკომოტივი მის დათმობას არ აპირებს.

მოსკოველები შეეცდებიან, რუბინთან შეთანხმებას მიაღწიონ და ამ შემთხვევაში კვერკველია ლოკომოტივის საკუთრება გახდება.

ჯერი რუბინზეა, რომელიც ამ ტრანსფერს გაურკვეველი მიზეზების გამო აჭიანურებს. თვითონ კვერკველიას ასევე სურს, რომ ის ლოკომოტივის ფეხბურთელი გახდეს.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**



# რა უნდა ვიცოდეთ ალერგიაზე

ეკა ირემაშვილი

ალერგია გარემო ფაქტორის მიმართ ადამიანის მომატებული მგრძნობელობაა. მას ორგანიზმში იმუნური სისტემა აბალანსებს. იმუნურ სისტემას დაცვითი მექანიზმი აქვს – ანტისხეულებს გამოიმუშავებს. როდესაც ორგანიზმში ანტიგენი სჭარბობს და ანტისხეულებს ბრძოლა აღარ შეუძლიათ, ალერგიული რეაქცია ვითარდება.

სეზონური ალერგიისთვის დამახასიათებელია ცხვირცემინება, ცხვირიდან გამონადენი, თვალების წვა და ქავილი. ტემპერატურა ალერგიის ნებისმიერ დაავადებას ახასიათებს. შეიძლება პაციენტს ყელში ქავილის შეგრძნება ჰქონდეს.

სეზონური ალერგიული რეაქციები მარტ-აპრილის თვიდან იწყება. თუ ძალიან თბილი ამინდებია და მცენარეებიც ადრე აყვავილდა, დაავადებაც შედარებით ადრე იჩენს თავს.

რა უნდა ვიცოდეთ სეზონურ ალერგიაზე და როგორ დავიცვათ თავი, ამ თემებზე ქირურგიის ეროვნული ცენტრის ალერგოლოგი თინა მურადაშვილი საუბრობს.

**თინა მურადაშვილი:**

– ალერგიულ ადამიანებს ვურჩევ, თავი შეიკავონ ქარიან ამინდში ქუჩაში სეირნობისა და ვარჯიშისგან.

***– კვებას თუ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ალერგიის დროს?***

– რა თქმა უნდა. ალერგიულმა ადამიანებმა სასურველია კვების რაციონში მაქსიმალურად შეზღუდონ თხილი, სტაფილო, ფორთოხალი, მზესუმზირა, მაიონეზი, მდოგვი, ხალვა, ჩიფსი, ჰამბურგერი, ტკბილი და გაზიანი სასმელი – ყველა ის პროდუქტი, რომელიც კონსერვანტებს შეიცავს. ამასთან, ძლიერ ალერგიულ საკვებად ითვლება მარწყვი, პომიდორი, ყავა, შოკოლადი, თევზეულობა, ფორთოხალი.

***– რამდენად ხშირია კვებითი ალერგია?***

– საკმაოდ ხშირია კვებითი ალერგიაც და ყველაზე ძლიერი ალერგენია მარწყვი. თუ კვებითი ალერგია გაწუხებთ, სასურველია ახალი ხილი შემოსვლიდან პირველ კვირებში არ მიიღოთ და მოგვიანებით მიირთვათ. გაითვალისწინეთ, რომ კვებითი ალერგია გამონაყართან ერთად შეიძლება გამოიხატოს შემდეგი სიმპტომებით:



თინა მურადაშვილი

პირღებინება, ფაღარათი ერთჯერადად და მუცლის ტკივილი.

***– რა უნდა ვიცოდეთ ალერგიაზე?***

– ქარიან ამინდში როცა ხე-მცენარეები ყვავიან, ალერგიული კლინიკის გამოვლენის პერიოდი იწყება. საქართველოში შესწავლილია მცენარეების ყვავილობის კალენდარი. ამ კალენდრის მიხედვით, ინფორმაციას ვიღებთ იმაზე თუ რომელი მცენარე როდის ყვავის. ეს არის პირველი ეტაპი, რომელიც იწყება გაზაფხულზე. მეორე ეტაპია მარცვლოვანი და პურეული მცენარეების ყვავილობა, ხოლო მესამე – სარეველა მცენარეების ყვავილობის პერიოდი.

***– რატომ არის ეს პერიოდი საყურადღებო?***

– მცენარეების ყვავილობის პერიოდში ძირითადად ვლინდება პოლინოზი, რომელიც ალერგიული დაავადებაა და ვლინდება სასუნთქი გზებისა და თვალების ლორწოვანი გარსის ანთებით. პაციენტს აღენიშნება სისუსტე, თავის ტკივილი, ვითარდება ცხვირის ლორწოვანი გარსის ანთება, შეშუპება, ქავილი, ცხვირიდან და თვალიდან გამჭვირვალე გამონადენი, ცხვირცემინება, სუნთქვის გაძნელება, ყელში ჩახეხვისა და ფხაჭნის შეგრძნება, რომელიც შეიძლება გამოვლინდეს ერთეული სულხუთვით.

ასევე ვლინდება შერეული ბრონქული ასთმა ან ალერგიული ასთმა, რაშიც დამნაშავეა ალერგენი, რომელიც გაზაფხულზე იჩენს თავს. ბრონქული ასთმის გამოვლენა ძირითადად ხდება განსაზღვრულ პერიოდში მოყვავილე მცენარეების მტვერთან კონტაქტის დროს, ხეების, ბალახების, რთულყვავილებიანი მცენარეების მტვრის, სოკოს სპორების მიმართ. სიმპტომი უფრო ხშირად ღამით ვლინდება.

***– გაზაფხულის ალერგია ხშირად ვლინდება გამონაყრის სახით. როგორ განვასხვავოთ ალერგიული გამონაყარი არაალერგიულისგან?***

– დიახ, გაზაფხულის ალერგია შეიძლება გამოვლინდეს კანის ფორმითაც. თუ გამონაყარს თან ახლავს ქავილი, კანზე წვის შეგრძნება, შეიძლება განვითარდეს შეშუპება – ეს ალერგიულია. შეიძლება გამონაყარი ჭინჭრის დასუსხვის მსგავსი იყოს და გამოვლინდეს ანგიონევროზული შეშუპება. ბოლო დროს მოიმატა ალერგიული ვასკულიტების ფორმებმა.

ბავშვებში გამონაყარი ვლინდება ლოკალურად იღლიებში, მუხლის უკანა ზედაპირსა და იდაყვებზე. სასურველია, ამ პერიოდში ბავშვმა არ მიირთვას ახალშემოსული ხილი და მოვარიდოთ დამნაშავე ალერგენებთან კონტაქტს.

## კალეიდოსკოპი



### სეულის ზოოპარკში სპილოებმა სპლიყვი აუზში დახრჩობას გადაარჩინეს

სამხრეთ კორეის დედაქალაქ სეულის ზოოპარკ გრენდ-პარკში ორი სპილო წყლიდან ამოსვლაში დაეხმარა სპლიყვს და ის დახრჩობისგან იხსნა.

მომხდარი დაწესებულების ვიდეოსათვალთვალო კამერამ გადაიღო და ის ერთ-ერთმა გამოცემამ გამოაქვეყნა.

როგორც გამოცემა აღნიშნავს, სპლიყვი ამ ინციდენტის შედეგად არ დაშავებულა და ამის შემდეგ დიდ სპილოებთან სეირნობა გააგრძელა.

### მაჩეტეთი შეიარაღებულმა ახალგაზრდამ ხუთ შეიარაღებულ მძარცველს აჯობა



ამერიკის ფლორიდის შტატის ქალაქ სარასოტას მცხოვრებმა მაჩეტეს დახმარებით ხუთი თოფით შეიარაღებული მძარცველი აიძულა გაქცეულიყვნენ. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი ტელეარხი ავრცელებს.

დაახლოებით დილის ხუთ საათზე ეჭვმიტანილები კერძო სახლის ეზოში შეიჭრნენ. ერთ-ერთ მძარცველს ხელში საფანტის თოფი ეჭირა, დანარჩენები მაჩეტეთი და ძალაყინებით იყვნენ შეიარაღებულები. მათი გამოჩენის დროს, სახლის პატრონი ნაცნობ ახალგაზრდა ყმაწვილს ესაუბრებოდა. ის წამოხტა და დაფის ქნევით სახლის კარისკენ დაიხია, მისი ნაცნობი კი მაგიდის ქვეშ დაიმალა.

სათვალთვალო კამერების ვიდეოჩანაწერის თანახმად, თოფით შეიარაღებული ეჭვმიტანილი უკანდახეულ ყმაწვილს სახლში კვალდაკვალ შეჰყვა, ხოლო მისი თანამზრახველები ეზოში დარჩნენ. 20 წამში სახლის კარში გამოჩნდა ჯერ შეიარაღებული მძარცველი, შემდეგ კი დიდი მაჩეტეთი შეიარაღებული სახლის პატრონი. მძარცველები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ, ის კი მათ გამოეკიდა. მხოლოდ ამის შემდეგ გამოძვრა მაგიდის ქვევიდან სახლის პატრონის ნაცნობი. მან სიგარეტს მოუკიდა, ხელი რკინის მილს დასტაცა და დასახმარებლად გაეკიდა, მას უკან მიჰყვა სახლიდან გამოვარდნილი პატარა ძაღლიც.

ერთობლივი ძალისხმევით მაჩეტეიანმა მამაკაცმა, სიგარეტიანმა ახალგაზრდამ და მათ დასახმარებლად მისულმა საცვლების ამარა მყოფმა ქალმა, ერთ-ერთი ეჭვმიტანილი დაიჭირეს და თოფი წაართვეს. ძარცვის დანარჩენი მონაწილეები პოლიციამ ავტოგასამართ სადგურზე დააკავა.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვალერი ურიდია:** საახალწლო სამზადისის დროს მივიღე მე-3 ხარისხის დამწვრობა. მივმართე საავადმყოფოს. ორი დღის განმავლობაში მდგომარეობა ძალიან დამიმძიმდა. გვირჩიეს ლამარა თოდუას მალამო. პირველი პროცედურის შემდეგ ვიგრძენი, რომ ტკივილი ნელ-ნელა ქრებოდა. სამი პროცედურის შემდეგ ნორმალური ძილი და ჭამა შევძელი. ლამარა თოდუას მალამომ მთლიანად მომიშუშა დამწვარი ფეხები, ხელის მტევნები და სახე, ისე, რომ ნაწიბურც არ მემჩნევა.

**თამარ ხარხელი:** მყავს 78 წლის ლოგინს მიჯაჭვული დედა. გაუჩნდა ნაწოლები. მივმართე ლამარა თოდუას. მისმა მალამოებმა და ლოსიონმა დედაჩემს შვება მოჰგვარა და ორი კვირის მკურნალობის შემდეგ ნაწოლების ადგილზე სიწითლეც აღარ შეინიშნება.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე–10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**



### ჩინეთში 15 მეტრის სიღრმის ჭიდან გოგონა ამოიყვანეს

ჩინეთში საქალაქო ოლქ ფუსინში 11 წლის გოგონა 15 მეტრი სიღრმის ჭაში ჩავარდა. ამ ინფორმაციას ადგილობრივი სააგენტო სინხუა ტვიტერში საკუთარ გვერდზე ავრცელებს.

ბავშვის გადარჩენაში მონაწილეობდა ადგილობრივი სამაშველო ჯგუფი. გოგონას ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია არ ვრცელდება.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 22 ივნისისთვის



**ვერძი** – შანსი გეძლევათ, ცხოვრებისეული და საქმიანი გამოცდილება თქვენ სასარგებლოდ გამოიყენოთ. სასიამოვნო ცვლილებების დროა. **კურო** – იაქტიურეთ. ერიდეთ საქმის გარჩევებსა და კამათს. **ტყუპები** – ნებისმიერ საქმეს თავს გაართმევთ. ახლობელს თქვენი რჩევები ძალიან გამოადგება. **კირჩხიბი** – მეტისმეტი მიმნდობლობა დაგაზარალებთ. ინტუიციას დაეყრდენით. **ლომი** – საკუთარი ძალების რწმენა გემატებათ. შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ. **ქალწული** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. თქვენი პრინციპები ბოლომდე დაიცავით. ემოციური დღეა. **სასწორი** – წარმატებული დღეა შემოქმედებითი კუთხით. ველოსიპედის გამოგონებას ნუ შეეცდებით. **ღრიანკალი** – ძველი კავშირების აღსადგენად კეთილისმყოფელი პერიოდია. იყავით გულღია და მოსიყვარულე. **მშვილდოსანი** – უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ოპერაციები იღბლიანი იქნება. ერიდეთ ხალხმრავალ ადგილებს. **თხის რქა** – ენერგიულად ხართ. მიენდეთ განსაკუთრებულად გამახვილებულ ინტუიციას. **მერწყული** – პლანეტები გმფარველობენ. მოვლენების განვითარებას ნუ შეეწინააღმდეგებით. **თევზები** – ეს დღე ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარეთ. განსაკუთრებით იზრუნეთ ბავშვებსა და მოხუცებზე.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. კვერცხის გულით, წებოთი და ზეთის ხსნარით შეზავებული სახატავი საღებავი; 2. პერიოდულად შრობადი მდინარეების საერთო სახელწოდება ავსტრალიაში; 3. ესპანეთის ფეხბურთელთა გუნდი; 4. პოპულარული ტყე-პარკი ვენაში; 5. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ავსტრიული ფირმა; 9. ქართული ფარმაცევტული ფირმა; 12. უნივერსიტეტი პარიზში; 14. შამფურზე მწვადად ასაგები ხორცის ნაჭრები; 15. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი; 17. აფრიკული ლეშისმჭამელი ცხოველი; 18. სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია.

**თარაზულად:** 6. აფრიკისა და აზიის ტროპიკებში ბინადარი ნახევარმაიმუნი; 7. ბროწეულის წვენისგან მომზადებული საწებელი; 8. სინათლის შემსწავლელი ფიზიკის ნაწილი; 10. იაპონელი მოდელიორი; 11. ქართული ხალხური ზღაპარი; 13. ჩქარი მატარებელი; 16. ამერიკული ავიაკოსმოსური კონცერნი; 19. მრგვალად, უწახნაგოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 20. რაიონული ცენტრი კახეთში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხაჭო; 2. ფრუმი; 3. გუამი; 5. შაგალი; 6. ნაკაშიძე; 9. მუჯურეთული; 10. საიათნოვა; 11. მანიფესტი; 14. ერა; 16. აქსისი; 18. ქაჯანა.

**თარაზულად:** 1. ხვიფლი; 4. აფშერონი; 7. ლუგელა; 8. მუხიანი; 12. აჯიკა; 13. ნესტლე; 15. კაბელი; 17. უთო; 18. ექსკავატორი; 20. პიეტა; 21. დისნეი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. აღდგომა; 2. უბისა; 3. სამთავრო; 4. სნუკერი; 5. პოსეიდონი; 9. ხვიჩია; 12. ლაქტოზა; 14. პანედა; 15. აუდი; 17. ქანდა; 18. უშტი.

**თარაზულად:** 6. დღეობა; 7. სამანგიო; 8. იგუასუ; 10. ჟესტი; 11. კასკადიორი; 13. აპელაცია; 16. დალაქი; 19. შოკოლადი; 20. მატეზირი.

# სტეფანემ 5.000 ლარი მოიგო

მომღერალმა სტეფანემ 5.000 ლარი მოიგო. ეს ფულადი პრემია მან წლის სიმღერის ტიტულის მოპოვებისთვის მიიღო.

მუსიკალური დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი „ოქროს ტალღა 2017" მთაწმინდის პარკში მეოთხედ გაიმართა და რადიოჰოლდინგ „ფორტუნას" 20 წლის იუბილეს მიეძღვნა. ამ იუბილესთვის თბილისში ლეგენდარული ჯგუფი „მოჯო" ჩამოვიდა და კონცერტი გამართა.

კონკურსში მონაწილეობას 125 სიმღერა იღებდა. წარდგენილი სიმღერებიდან საუკეთესოები კომპეტენტურმა ჟიურიმ გამოავლინა, რომლის შემადგენლობაშიც იყვნენ ვალერი მელაძე, მერაბ სეფაშვილი, ნიკოლოზ რაჭველი, ნინო ქათამაძე, მაცაცო სებისკვერაძე, ზაზა შენგელია, ხატია შამუგია, დათო ფორჩხიძე, გიორგი უშიკიშვილი და ვაჟა დურგლიშვილი.

ხალხის რჩეული „ოქროს ტალღის" ვებ გვერდზე მიცემული ხმების შეჯამებით გამოვლინდა, ჰოლდინგის ოთხივე რადიოსადგურმა და ტელეკომპანია „მიუზიქბოქსმა" კი საკუთარი რჩეულებიც დაასახელა.

**წლის სიმღერა:** სტეფანე – „დამიბრუნდი" – კომპოზიტორი ავთო ბადუაშვილი, ტექსტის ავტორი სტეფანე მღებრიშვილი.

**წლის საუკეთესო მომღერალი ქალი:** სოფო ნიჟარაძე – „მაპატიე" – კომპოზიტორი რუსა მორჩილაძე, ტექსტის ავტორები ირინა სანიკიძე და დავით დოიაშვილი.

**წლის საუკეთესო მომღერალი მამაკაცი:** ნოდიკო ტატიშვილი – „ფერადი დღე" კომპოზიტორი მაიკო კაჭკაჭიშვილი, ტექსტის ავტორი მანანა გურგენიძე.

**წლის საუკეთესო ჯგუფი-ანსამბლი:** „ქართული ხმების კვარტეტი" – „მეორე ლეგენდა" – კომპოზიტორი ნუნუ გაბუნია, ტექსტის ავტორი ავთანდილ გელოვანი.

**ინტერნეტრჩეული:** გია დავითიანი – „ლეგენდა სიყვარულზე" – კომპოზიტორი მანანა იმედაძე, ტექსტის ავტორი გურამ გორდეზიანი.

**წლის დებიუტი:** ეკუნა – „ვოთ იუ ვონთ" – კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი ეკუნა.

**წლის რიმეიქი:** ნიუ ვან – არტიფიშალ ლავ კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი სერგი გვარჯალაძე, ბაკუნა ნოზაძე, გენეტიკ კოდი.



**წლის დუეტი:** ლაშა ღლონტი და ქეთი ფარესაშვილი – „ოქროყანის ალმართი" კომპოზიტორი კონსტანტინე პევზნერი, ტექსტის ავტორი პეტრე გრუზინსკი.

**წლის საუკეთესო ქალაქური სიმღერა:** ანსამბლი „შვიდკაცა" და დათო გომართელი – „ერთ რამეს გეტყვი" – კომპოზიტორი ნათია ზეინკლიშვილი, ტექსტის ავტორი მანანა სიამაშვილი.

**პრიზი მუსიკის პოპულარიზაციისთვის ქვეყნის ფარგლებს გარეთ:** ნინო ქათამაძე.

**მუსიკის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილი ჯგუფი:** „სახე".

**კლასიკური მუსიკის პოპულარიზაცია და პროდიუსინგი:** თეონა ჯორბენაძე.

**რადიო „ფორტუნას" რჩეული:** სტეფანე – „დამიბრუნდი".

**რადიო „ფორტუნა პლუსის" რჩეული:** „რეზო და ბავშვები" – „ველოსიპედი" – კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი რეზო ბლიაძე.

**რადიო „არ დაიდარდოს" რჩეული:** სოფო ბედია – „გელოდი" – კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი ლეილა ლეგაშვილი.

**„ავტორადიოს" რჩეული:** ნიუ ვან – არტიფიშალ ლავ.

**ტელეკომპანია მიუზიქ ბოქსის რჩეული:** მასტერი – „დამსინა" – კომპოზიტორი და ტექსტის ავტორი მასტერი.

## რუსთაველის გამზირზე შევარდენი აღმართეს



რუსთაველის გამზირზე, მხატვრის სახლის ადგილას, სულ მალე თანამედროვე მრავალფუნქციური კომპლექსი გაიხსნება, რომელიც მოიცავს მუზეუმს, საგამოფენო დარბაზს, სასტუმროს, რესტორანს, საცურაო აუზსა და საზოგადოებრივი დანიშნულების მიწისქვეშა ავტოსადგომს.

შენობა თითქმის დასრულებულია, მის წინა ფასადზე კი, არც მეტი, არც ნაკლები, შევარდენი მიამაგრეს, რამაც საზოგადოების გაღიზიანება და გაოცება გამოიწვია.

**შენობის ფოტო ინტერნეტში ალექსანდრე დეკანოიძემ გაავრცელა:**

– მარტო თბილისში თუ მოაფიქრდებოდათ, რომ თანამედროვე ხელოვნების გალერეა დაედგათ ქალაქის ცენტრში, რომელსაც ეზო არ აქვს ექსპერიმენტული ხელოვნებისთვის, ინსტალაციებისთვის და ა.შ., რომელიც სუპერ არა თანამედროვე არქიტექტურაა და რომელსაც დღეს სივრცის შინაარსისთვის სიცილამდე ან ტირილამდე შეუფერებელი არწივი დაადგეს.

**ანუკა მურვანიძე:**

– ვაი, ეს რა არის? ეს არწივი რაღაა? არა, ნუ რა პროექტებს ამტკიცებენ, ღმერთო. ეს ქალაქი გახდა ჩახერგილი შენობების რაღაც მახინჯურობა. რა გვჭირს, ნუთუ არ გვინდა შთამომავლობას ლამაზი თბილისი დავუტოვოთ? ეტყობა, არა.

**თამარ ჩერგოლეიშვილი:**

– ეს ხო ჯოხთაბერიძის პონტია? შევარდნაძის სიძის? ხოდა, შევარდენიც ედუარდია. რას ვერ ხვდებით?

**სოფო კილასონია:**

– რა მნიშვნელობა აქვს ამ ყველაფერს, როცა ქართველი მხატვრები ოცნებობენ შიგნით მოხვედრა-გამოფენაზე. ყველამ მიიღოს ის, რაზეც ოცნებობს. ყველაფერს დაერქვას თავისი სახელი. ყველაფერს ჰქონდეს თავისი ნამდვილი სახე. ძალიან ადეკვატური შენობაა. მე მომწონს.

## ნიკა წერეთლის მხარდასაჭერად მომღერლები კონცერტს გამართავენ

მუსიკოს ნიკა წერეთლის მხარდასაჭერად მისი მეგობრები კონცერტს გამართავენ.




ნიაზ დიასამიძე, ბაკურ ბურდული, ჯგუფები „რეგიონი", „აუტსაიდერი", „გრავიტი", „ბანდეროლი", „პლუსი" და მათი მეგობრები 24 ივნისს კლუბში 33ა ცოცხალი მუსიკის კონცერტს ჩაატარებენ, სადაც დასწრება ნებისმიერ მსურველს 10 ლარად შეეძლება.

– ხანგრძლივი და დაძაბული ლოდინის შემდეგ ნიკას საპროცესო შეთანხმებას უკეთებენ, თუმცა არცთუ კარგი პირობით, 4 რეალური წელი და 10.000 ლარი... ორჯერ საპროცესო შეთანხმების მიღწევაზე კატეგორიული უარი თქვა პროკურატურამ და მხოლოდ ამ პირობაზეა თანახმა. იძულებული ვართ დავთანხმდეთ, რადგან თუ საპროცესო შეთანხმება არ იქნება მიღწეული, მინიმუმ 7 წელს მიუსჯიან... მინდა კიდევ ერთხელ გთხოვოთ, ვისაც გაქვთ ნიკას დახმარების სურვილი, ვისაც რისი საშუალება გექნებათ, შევაგროვოთ... ამ ეტაპზე სხვა არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია. რაღაც პერიოდის გასვლის შემდეგ ვეცდებით, პრეზიდენტის შეწყალება გავაკეთოთ... – აცხადებენ ნიკას მეგობრები.

ნიკა წერეთლის მეგობრებმა ინტერნეტში სპეციალური ვიდეომიმართვა გაავრცელეს, სადაც ბეთათომ, რობი კუხიანიძემ, ნანკა კალატოზიშვილმა, ბაკურ ბურდულმა, ნიაზ დიასამიძემ და სხვა ხელოვანებმა მათი მეგობრის მხარდასაჭერად საზოგადოებას კონცერტზე მისვლა სთხოვეს.

## სოფელ წოფის ეკლესიას საფრთხე აღარ ემუქრება



სოფელი წოფი მარნეულის მუნიციპალიტეტში სომხეთ-საქართველოს სახელმწიფო საზღვართან მდებარეობს. სოფლის ჩრდილო-აღმოსავლეთით, კლდოვან ქედზე აღმართულია წოფის ციხე, ხოლო ციხიდან დასავლეთით ორ კილომეტრ მანძილზე მდებარეობს VI-VII საუკუნეების დარბაზული ეკლესია.

ტაძარი თავისი მინაშენებით ე.წ. „უჯარმული" წყობითაა ნაშენი. ძეგლი უმძიმეს მდგომარეობაში იმყოფებოდა და სასწრაფო რეაგირებას საჭიროებდა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვის და გადარჩენის ფონდთან ერთად, სოფელ წოფის ეკლესიის სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაატარა, რის შედეგადაც მოწესრიგდა ეკლესიამდე მისასვლელი სამანქანო გზა, მთლიანად მოიხსნა და გადაეწყო დაძრული საპირე ქვები, აღდგა ჩამონგრეული კედლები უხეშად დამუშავებული წოფის ქვით არსებული წყობის მიხედვით, მოხდა კამარის გადაყვანა კირ-დუღაბის ხსნარით, აღდგა კონქი, შეივსო ფასადების გამორეცხილი ადგილები კირის ხსნარით, მოეწყო იატაკი დაზერხილი ბაზალტის ფილებისაგან ძველი იატაკის დონეზე, მოეწყო ამბიონი და საკურთხევლის საფეხურის შუბლი მასიური ქვისგან და თუნუქის სახურავი ლორფინის იმიტაციით.

## კალეიდოსკოპი



### ამერიკის ზოოპარკიდან მაიმუნის გაქცევა ვიდეოზე გადაიღეს

ამერიკის ტეხასის შტატის ქალაქ სან-ანტონიოს ზოოპარკის დამთვალიერებელმა ვიდეოზე გადაიღო გიბონის ჯიშის მაიმუნის გაქცევა.

მაიმუნმა ბადეში, რომლითაც ვოლიერია გადახურული, ხვრელი იპოვა. ის მასში გაძვრა, უახლოეს ხემდე მიირბინა და მის ტოტებში მიიმალა.

ზოოპარკის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ გაქცეული გიბონი მალევე დაიჭირეს და ვოლიერში დააბრუნეს. ცხოველი არ დაშავებულა. ინციდენტის შემდეგ ზოოპარკის თანამშრომლებმა გულდასმით დაათვალიერეს გალიები, რათა სხვა მსგავსი ხვრელები აღმოეჩინათ, რომლის საშუალებითაც ცხოველები ვოლიერიდან გაქცევას მოახერხებდნენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## მე-6 000 000 ტურისტის კლიპი კანის ფესტივალის გამარჯვებულია

მე-6.000.000 ტურისტის შესახებ გადაღებული ვიდეორგოლი კანის ლომების ფესტივალზე ვერცხლის და ბრინჯაოს ლომის მფლობელი გახდა.



კლიპის გადაღება საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინიციატივით განხორციელდა, რომელიც საქართველოში მე-6.000.000 ტურისტის შემოსვლას მიეძღვნა.

საქართველოში გასულ წელს რეკორდული რაოდენობის ტურისტი ჩამოვიდა. ეს არის პირველი წელი საქართველოს ისტორიაში, როდესაც ქვეყანაში 6 მილიონზე მეტი საერთაშორისო მოგზაური შემოვიდა. სწორედ ამ მოვლენის აღსანიშნავად მოხდა კლიპის გადაღებაც.

ქართული სააგენტოების წარმატებას კანის კრეატიულ ფესტივალზე კიდევ ორი ლომი დაემატა. ვინდფორ'ს-ის ნამუშევარმა დინერ ვით ჯორჯია ფესტივალზე, პიარის კატეგორიაში, ერთი ვერცხლი და ერთი ბრინჯაო მოიპოვა. ეს პირველი ვერცხლის ლომია ქართულ სარეკლამო ინდუსტრიაში.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## სამგლოვიარო განცხადებები

ვიტალი ქარდავა ოჯახით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქალაქ ოჩამჩირის ი.ჭავჭავაძის №1 საშუალო სკოლის მათემატიკის წამყვანი სპეციალისტი, უკეთილშობილესი მეუღლე, დედა და ბებია

**ლეილა შანავა**

პანაშვიდი: 22, 23 ივნისს, 17 საათზე.
დაკრძალვა: 24 ივნისს, 15 საათზე.
მისამართი: გლდანი, II მიკრორაიონი, 47ა კორპუსი, ბინა №21.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## პროგრამა

**ხუთშაბათი 22 ივნისი**

**შესაძლებელია ცვლილებები.** 07.00 დოკ/ფ "შემდეგი გაჩერება ენტონი ბურდეინთან ერთად" 08.00 ანიმაცია. მადაგასკარის პინგვინები 09.00 დილის მოამბე 10.00 პირადი ექიმი. 11.00, 19.00 ტ/სერ. "**ძველი ხიდის საიდუმლო**" 12.00, 16.00, 18.00, 20.00 "მოამბე" 12.30 ტელემანი 12.45 კაცების დრო 13.50 დღე მუზეუმში 14.20 სიტყვების თამაში 15.00, 02.05 "C სტუდია" 16.15 ეკონომეტრი 16.30 ჰოპლა! ჩვენ ვცოცხლობთ 17.00, 03.05 რეალური სივრცე 18.30 ხანმოკლე XX საუკუნე 20.40 სპორტის დაფა 21.00 ტ/სერ. "**ველვეტი**" 22.00 "ინტერვიუ სალომე ასათიანთან" 22.30 ვექტორი 23.00 უცნობი მუსიკა 00.30 მხ/ფ

08.00 დოკ/ფ "ამფორების გზა" 09.00 დოკ/ფ "ტვინი სარკეში" 10.00 "გეოფაქტორი" 10.15 დოკ/ფ "სონია რაკელი" 11.05 დოკ/ფ "კოდის კონცხი" 12.00 დოკ/ფ "პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები" 13.00 ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" 14.00 დოკ/ფ "გაზაფხული დაკვირვებების ქვეშ" 15.00 დოკ/ფ "ბედნიერება თეფშზე" 17.00 დოკ/ფ "ჰოლივუდი" 18.00 დოკ/ფ "პოლივირილიო სიჩქარის ფილოსოფოსი" 19.00 ფეხბურთი - კონფედერაციის თასი. კამერუნი - ავსტრალია 21.00 "არგუმენტების დრო" 22.00 ტ/სერ. "**კედრის ყურე**" 23.00 "მოამბე"(აფხაზურ" ოსურ" რუსულ ენებზე) 00.00 "ნამდვილი დრო" 00.30 ტ/სერ. "**კატერინა და მისი ქალიშვილები**"

05.50, 14.40 სერ. "**ელიფი**" 07.30 იმედის დილა 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 04.10 ქრონიკა 08.20, 09.20 იმედის დილა (გაგრძელება) 10.05 სერ. "**პატარძალი**" 11.20 სერ. "**ფიცი**" 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. "**სტამბოლის ორი სახე**" 18.45, 19.03 სერ. "**მოპარული ცხოვრება**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 სხვა რაკურსი გია ჯაჯანიძესთან ერთად 23.30 სპორტი იმედზე 00.30 მხ/ფ "**ჩემი ერთადერთი და განუმეორებელი**" 02.15 მხ/ფ "**შაბათ საღამოს ციებ-ცხელება**" 04.25 მხ/ფ "**ხაზი**"

06.00, 18.30 სერ. "**შენი ზოდიაქოს ფერი**" 06.45, 19.57 სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**მფარველი ანგელოზი**" 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. "**ფერიჰას საიდუმლო**" 15.30 სერ. "**ინდური საგა**" 16.55 სერ. "**დაკარგული წლები**" 22.00 პროფილი

08.00 ან/სერ. ვარსკვლავური ომები- მეამბოხეები 09.00 სერ. "**ერთხელ ზღაპარში**" 13.00 სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" 15.00 სერ. "**ანტიმაფია**" 17.00 სერ. "**კრიმინალური აზროვნება**" 19.00 სერ. "**შავი სია**" 21.00 სერ. "**მაფიოზა**" 22.30 მხ/ფ "**მკვლელობა რიცხვებით**" 00.50 მხ/ფ "**მეხუთე ხელისუფლება**" 03.15 მხ/ფ "**შეთქმულების თეორია**" 05.45 მხ/ფ "**ხანგრძლივი ნიშნობა**"

08.00 ანანდა 08.15 მულტფილმი 08.30 სერ. "**ღმერთების ხელდასხმული**" 09.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.50, 22.35 სერ. "**სიყვარულსა და შიშს შორის**" " 10.40, 13.40, 14.40, 21.20, 22.25 ტელემარკეტი 11.00, 14.00, 17.55, 19.00, 23.30, 2.40 ახალი ამბები 11.25 დოკ/ფ "ბრძოლა არსებობისთვის" IX ნაწ. 12.00 მოდი გავიყაროთ 13.00, 04.00 ბიზნესკოდი 15.00 3-დან 5-მდე 16.20 დოკ/ფ "უდიდესი გეოგრაფიული აღმოჩენები" წყალქვეშა ნავი I ნაწ. 18.00, 0.00 ფაბრიკა 20.00, 03.00 პრიორიტეტი 21.10 კიჭილიქსი 21.30 რემისია 1.00 მხ/ფ "**სისხლიანი ქუჩები**"

06.15 ქრისტიანული სწავლება 06.25 მუს. პაუზა 06.40 პატერიკი- მგლოვიარე ძმის შესახებ გულმხურვალედ მტირალი მონაზონი 06.45 აქტუალური თემა "თამბაქო" 07.25 ქართული ალბომი 07.50 სამყაროს შექმნა 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 სიბრძნისმეტყველება 08.30 "განთიადი" 10.10 პორტრეტები ერთსულოვნების გალერეადან 10.40 საღვთისმეტყველო საუბრები 11.30 ეპოქის სახელები 12.10 მხ/ფ "**მყუდრო სავანე**" 13.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" 14.00 ბავშვები მუზეუმში 15.05 ქართული ან/ფ 15.25 ტრაპეზი "კომბოსტოს სალათი" 15.35 დ/ფ "ველური ბუნება"-ავსტრალია 16.00 კონცერტი 16.25 ქრისტიანული ხელოვნება "ტიხრული მინანქარი" 17.30 ჩვენი ფონდი 18.10 "განთიადის" სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.00, 22.00, 00.10 სიახლენი 19.20 მხ/ფ "**მიზანი**" 20.40 ძილი ნებისა "ეკლესიური ცხოვრება" 21.00 პატრიარქის ქადაგება 21.15 წმინდანები 22.20 ჩვენი საგანძური 22.40 კვირიაკეს სიუჟეტი 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.40 ივერიის ეკლესია "საქართველოს ეკლესიის სამწყსო" 00.30 დ/ფ "კეთილმოწყალე უფალი" III 01.30 "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


22 ივნისისთვის

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი — 2.4081 | ევრო — 2.6867 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.0499 | 100 რუსული რუბლი — 4.0731 |

**ამინდის პროგნოზი 22 ივნისისთვის**







**6 ივნისიდან**

ონორე დე ბალზაკი

**გამქრალი ოცნებანი**

წიგნი II

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

**9 ივნისიდან**

**საქართველოს მეფეთა ისტორია**



**ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი**



**21 ივნისიდან**

ილია ილფი
ევგენი პეტროვი

**თორმეტი სკამი**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**

მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.





**15 ივნისიდან**

ფილიპ ჩესტერფილდი

**წერილები ჩემს ვაჟს**

**ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი**


## იუმორი

კაცი ტელეფონზე რეკავს:

– ნასვამი მხოლოდ შენ გირეკავ, შენ განსაკუთრებული ხარ.

– უკაცრავად, რას შეუკვეთავთ?

•••

ერთი პროგრამისტი მეორეს უყვება:

– წარმოგიდგენია, გუშინ სახლში ჩვეულებრივზე ცოტათი ადრე დავბრუნდი და ვხედავ, ჩემი ცოლი ლოგინში უცნობ მამაკაცთან ერთად წევს...

– მერე?

– რაღაც ეშმაკურად უციმციმებდათ თვალები, ეგრევე რაღაც ცუდი ვიეჭვე, მივვარდი კომპიუტერს, ვცდილობ, ინტერნეტში შევიდე, მაგრამ პაროლი შეუცვლიათ...

•••

ახალგაზრდა მასწავლებელი გაკვეთილს ატარებს, დაფასთან მივა და რაღაცას წერს. ამ დროს სიცილის ხმას გაიგონებს, შეტრიალდება და მოსწავლეს ეკითხება:

– ასე რამ გაგახარა?

– კაბიდან ცალი მკერდი გამოგიჩნდათ და დავინახე.

– გაეთრიე კლასიდან! და ერთი კვირა სკოლაში მოსული არ დაგინახო.

მასწავლებელი ჟურნალთან დაიხარა და ჩანაწერი გააკეთა. ამ დროს ისევ სიცილის ხმა გაისმა.

– ვასიკო, შენ რაღა გაცინებს?

– თქვენი ორივე მკერდი დავინახე!

– გაეთრიე და ორი კვირა სკოლაში არ დაგინახო.

მასწავლებელი მიბრუნდა დაფისკენ. ამ დროს ცარცი დაუვარდა, დაიხარა, აიღო და დაფაზე წერა უნდა გააგრძელოს, რომ ისევ სიცილის ხმა გაისმა. შეტრიალდა და ხედავს, ბოლო მერხზე მჯდომი გიგი ჩანთას ალაგებს.

– რაშია საქმე, გიგი?

– მასწავლებელო, მას შემდეგ, რაც ახლა დავინახე, როგორც ჩანს, განათლების მიღებას საერთოდ ველარ შევძლებ!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეუბნება:

– ზოგჯერ საქმე იმაზე უკეთესად გამოდის, ვიდრე ჩაფიქრებული გქონდა.

– რა მოხდა?

– კატას ფეხსაცმელი ვესროლე და სიდედრს მოხვდა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კიმ კარდაშიანმა კანის ფერი შეიცვალა



ამერიკელ ტელევარსკვლავს კიმ კარდაშიანს კანის ფერის სპეციალურად გამუქებაში სდებენ ბრალს და ეს ახალი სარეკლამო კამპანიისთვის გააკეთა.

36 წლის კარდაშიანმა კოსმეტიკური საშუალებების საკუთარი ხაზი აამოქმედა. პროექტის ანონსირებისთვის მან ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე გამოაქვეყნა სურათი, რომელზეც ახალი ბრენდის გვერდია მითითებული.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სოციალური ქსელების მრავალმა მომხმარებელმა ჩათვალა, რომ კარდაშიანმა ფოტოშოპის დახმარებით საგანგებოდ შეიცვალა კანის ფერი. მათი აზრით, ის შეეცადა ასეთი საშუალებით მიეპყრო საზოგადოების ყურადღება საკუთარი ბრენდისკენ.

თავად ტელევარსკვლავმა კი განაცხადა, რომ მან უბრალოდ ავტორუჯი გამოიყენა. ასევე მისი თქმით, მან ფოტოები ჯერ თავის ახლობლებსა და სპეციალისტებს აჩვენა და მათ მისი კანის ფერის ცვლილებისთვის ყურადღება არ მიუქცევიათ.

## ელ მაკფერსონს განქორწინების შემდეგ 53 მილიონი ერგო

ავსტრალიელი ტოპ-მოდელი ელ მაკფერსონი მილიარდერ ჯეფრი სოფერთან განქორწინების შემდეგ 53 მილიონ დოლარს ნაღდი ფულით მიიღებს, ასევე სახლს, რომელიც 26 მილიონ დოლარადაა შეფასებული.



გასულ კვირას ცნობილი გახდა, რომ მაკფერსონმა მაიამიში ოჯახის კუთვნილი ბინა დატოვა. ახლა კი ცნობილი გახდა, რომ მოდელი ამ სახლს შეინარჩუნებს. ის მილიარდერმა 2000 წელს 7 მილიონ დოლარად შეიძინა.

მაკფერსონი და სოფერი თითქმის ოთხი წელი იმყოფებოდნენ ქორწინებაში. მათი ქორწილი 2013 წელს ფიჯიზე გაიმართა. ცერემონიას მათი მეგობრებისა და ნათესავების მხრიდან 10-ზე მეტი სტუმარი ესწრებოდა.

წყვილის მხრიდან განქორწინების პროცესთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარი არ გაკეთებულა.

## ჩინელმა მაკიაჟი საჭმლით გაიკეთა



ჩინეთის პროვინცია სიჩუანის მცხოვრებმა ქალბატონმა კოსმეტიკურ საშუალებად საკვები პროდუქტები და საკანცელარიო საქონელი გამოიყენა, რომლებიც თავისი სამსახურის ოფისში მოაგროვა.

იმის ამსახველი ვიდეოჩანაწერი, თუ როგორ იკეთებს სახეზე მაკიაჟს საკვები პროდუქტებისგან, ქალმა სოციალურ ქსელ ფეისბუქში საკუთარ გვერდზე განათავსა. სამ დღეში ვიდეორგოლმა 13 მილიონზე მეტი ნახვა მოაგროვა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## მოდელი და მომღერალი პიკსი გელდოფი გათხოვდა



ბრიტანელი მოდელი და მომღერალი პიკსი გელდოფი გათხოვდა. ამ ინფორმაციას გამოცემა ვოგი ავრცელებს. მისი რჩეული გახდა მანეკენი და მუსიკოსი ჯორჯ ბარნეტი. ისინი ხუთი წლის მანძილზე ხვდებოდნენ ერთმანეთს.

საქორწინო ცერემონია მალიორკაზე, ქალაქ დეიას ყოფილი მონასტრის ტერიტორიაზე გაიმართა.

ქორწილს 150 სტუმარი ესწრებოდა, მათ შორის ახლად შეუღლებულთა ცნობილი მეგობრები, ალექსა ჩანგი, დეიზი ლოუ, პოლ სიმონონი და ჰარი სტაილზი.

საკურთხეველთან პატარძალი მამამისმა, მუსიკოსმა და საზოგადოებრივმა მოღვაწემ ბობ გელდოფმა მიიყვანა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. აღდგომის მისალოცი სიმღერა; 2. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ჩიკაგოს აეროპორტი; 3. ბანდიტის, ქურდის, ხულიგნის საერთო სახელწოდება ძველად საფრანგეთში; 5. მქრქალი ცისფერი ძვირფასი ქვა; 6. ლეჩხუმის სახელწოდება ბიზანტიური წყაროების მიხედვით; 9. სამეთვალყურეო გემი ნავსადგურში; 10. გერმანული ავიაკომპანია; 11. თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ისტორიული სამეფო; 14. იაპონელი მევიოლინე ქალი; 16. კომბინაცია პრეფერანსში; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი, კომიკოსი.

**თარაზულად:** 1. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 4. ცოცხალი ორგანიზმის რეაქცია გარეგან გამღიზიანებლებზე; 7. უდაბნო აფრიკაში; 8. სამხედრო გემთმშენებლობის ცენტრი საფრანგეთში; 12. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 13. გაუმჭვირვალე, ფერადი მინის, სხვადასხვა ფორმის ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისთვის; 15. საგაზეთო პუბლიკაცია; 17. იტალიური ტელეკომპანია; 19. ქართველი კალათბურთელი, ოლიმპიური ჩემპიონი; 20. იმრე კალმანის ოპერეტა; 21. ქართული რადიო.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

